# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 21 ოქტომბერი 2006 №244 (2866) ფასი 50 თეთრი





# რა ცივი და რა მღვრიეა ნევა...

## საგარეჯომ პოლიტიკური მდინარე უნდა გადაცუროს




დღეს, ჩვენი დროით თორმეტ საათზე, ბუდაპეშტში ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი დაიწყება. კონტინენტის უძლიერესი კლუბი დღესვე, საღამოს ცხრა საათისთვის გამოვლინდება. ტურნირი თბილისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ევროპის ძიუდოს კავშირმა საქართველოს ვარიანტი ორიოდ კვირის წინ ვითომდა არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო დაიწუნა.

თქმაც არ უნდა, უნგრელებზე მეტად ამ გადაწყვეტილებით რუსებმა გაიხარეს. მეტიც, თბილისისთვის მასპინძლობის ართმევა სწორედ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების დამსახურებაა. ევროპის მოქმედ ჩემპიონს, სანკტ-პეტერბურგის „იავარა ნევას“, რომელიც რუსეთის პრეზიდენტისა და ამავდროულად ევროპის ძიუდოს კავშირის საპატიო პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის გუნდია, ნახევარფინალში ქართული „საგარეჯო“ დაეჭიდება და რუსებს, ბუნებრივია, ნეიტრალურ ტატამზე შეხვედრა ერჩივნათ.

საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაკომპლექტებული და ძლიერი და ტიტულიანი ლეგიონერებით გაძლიერებული „საგარეჯო“ კი ბუდაპეშტში მაინც საჩემპიონოდაა ჩასული და არანაირი ხელოვნურად შექმნილი წინაღობა არ აშინებს.

„ყველამ კარგად ვიცით, რა ბრძოლა გველის. ძლიერი მეტოქე ალბათ მსაჯების სიმპათიებითაც იქნება გათამამებული. ეს უსამართლობა ჩვენთვის მხოლოდ დამატებითი სტიმული გახდება. ბიჭებმა ისე უნდა იჭიდავონ და მოიგონ, რომ მსაჯს ხელჩასაჭიდი არაფერი დაუტოვონ. „იავარა ნევასთან“ შეხვედრაში მთელი სული და გული უნდა ჩავაქსოვოთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ“ — გვითხრა გუშინ კლუბის და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა.

ოთხთა ფინალის პირველი ეტაპი — ნახევარფინალური შეხვედრები სწორედ „საგარეჯო“ — „იავარა ნევას“ დაპირისპირებით იხსნება. თითოეულ წონაში ორ-ორი შეხვედრა გაიმართება და ფინალისტების ბედიც თოთხმეტი ბრძოლის საერთო შედეგით გაირკვევა. მეორე ფინალისტის ვინაობას გერმანული „აბენსბერგი“ და თურქული „ისტამბული“ გაარკვევენ ერთმანეთში. ოქროს შეხვედრა კი საღამოს, რვის ნახევრიდან დაიწყება.

ევროპული სააგენტოების ცნობით, ბუდაპეშტურ ევროპირველობას შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტიც დაესწროს. ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი ევროპული ძიუდოს მამებს პირადად მიუწვევიათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საგარეჯო:** 60 კგ — ნესტორ ხერგიანი, არმენ ნაზარიანი (სომხეთი); 66 კგ — არაშ მირესმაილი (ირანი); 73 კგ — ზაზა კედელაშვილი; 81 კგ — გრიგოლ მამრიკიშვილი, რომან გონტიუკი (უკრაინა); 90 კგ — ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე, ილიას ილიადისი (საბერძნეთი); 100 კგ — ლომერ ჟორჟოლიანი; +100 კგ — ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, აბდულ ტანგრიევი (უზბეკეთი).

# შოთა ნაკრების კიდევ ორ თამაშს გამოტოვებს

*შოთა არველაძემ და „ალკმაარმა“ უეფას თასის ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყეს — ლუის ვან გაალის გუნდმა პორტუგალიურ „ბრაგას“ 3:0 მოუგო და პირველი გოლი არველაძემ გაიტანა.*

*შოთას უეფას თასის პირველივე ეტაპზე შეექმნა პრობლემა — თურქულ „ქაისერთან“ მატჩში მუხლი გაუსივდა და ამის გამო გამოტოვა სანაკრებო მატჩები 7 ოქტომბერს გერმანიასთან და 11 ოქტომბერს იტალიასთან. არველაძე ალბათ ნაკრების უახლოეს მატჩებშიც ვერ ითამაშებს...*

— მარჯვენა მუხლი ისევ გამისივდა. ორშაბათს ან სამშაბათს ტომოგრაფიულ გამოკვლევას გავიკეთებ. შეშუპება ალბათ ამოტეხილი ხრტილის ბრალია — ეს მუხლი ხომ ნაოპერაციები მაქვს.

**— „ბრაგასთან“ იმიტომ შეგცვალეს, რომ მუხლი აგტკივდა?**

— არა, უბრალოდ, თამაში, ფაქტობრივად, უკვე მოგებული გვქონდა. ტკივილი იმდენად არ მაწუხებს, რამდენადაც შეშუპება.

**— კვირას ჰოლანდიის ჩემპიონატში ძალიან პრინციპული მატჩი გაქვთ პსვ-სთან — ამ თამაშს გამოტოვებ?**

— ჯერ არ ვიცი. „ბრაგასთან“ მატჩის წინაც მქონდა მუხლი ოდნავ გასიებული და მაინც ვითამაშე. ვნახოთ, ხვალინდელი ვარჯიშის მერე მუხლი როგორ მექნება.

**— ვიცით, რომ სანაკრებო კარიერის დასრულებაზე სერიოზულად ფიქრობ — ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევის მომდევნო თამაშამდე ორი ამხანაგური მატჩი აქვს ურუგვაისთან და თურქეთთან — ამ თამაშებს გამოტოვებ?**

— ალბათ, კი.

**— კლაუს ტოპმიოლერს უკვე უთხარი ამის შესახებ?**

— მისთვის ჯერ არაფერი მითქვამს.

**— გერმანიასთან და იტალიასთან ჩვენი ნაკრების თამაშზე რას იტყვი?**

— კარგია, რომ დროის მცირე მონაკვეთში სამ გრანდს ვეთამაშეთ — ამით გამოწვეული აჟიოტაჟი ძალიან სასიამოვნო იყო. ჩვენი ნაკრების თამაშის ხარისხზე კი კარგს ვერაფერს ვიტყვი. კალაძემ ერთხელაც დაგვანახა, რომ დიდი ფეხბურთელია, კლასი ეტყობოდა ცქიტიშვილს, ხოლო ხიზანიშვილმა გერმანიასთან გაძევებით გული დამწყვიტა. გერმანიამ აშკარად გვაჯობა, იტალიასთან კი ერთი საათი... ალბათ ამ დროში მთელ საქართველოს ოცი წლის სიცოცხლე მოემატა, ხოლო როცა იტალიელებმა მეორე გოლი გაგვიტანეს, ტელევიზორი გამოვრთე — ნერვები ისე დამაწყდა, ყურება აღარ შემეძლო.

**დავით თავართქილაძე**

# უქმე კი არა, საქმეა ნერვების






აბა, როგორი საქმეა, „ბაიერნი“ ბრემენში რომ ჩადის?! გულშემატკივარი არ გვეგულება, თქვას, მერე რაო.

და „ლივერპული“ მანჩესტერში რომ ჩადის?! არც ამ ჯახის დამწუნებელი გვეგულება ვინმე.

და „რეალი“ — „ბარსელონა“?! ეს ხომ, საერთოდ...

მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ გულშემატკივარს ამ უქმეებზე მოწყენა არ უწერია. გერმანული ბუნდესლიგის, ინგლისური პრემიერლიგისა და ესპანური პრიმერას მამებმა თავიანთი კალენდრები ისე შეადგინეს, რომ ამ სამმა გამორჩეულმა თამაშმა ერთ უქმეებზე მოიყარა თავი.

ეჰ, „იუვენტუსი“ არ გაეგდოთ სერია A-დან, ვინძლო, იტალიურ ლიგაშიც ერთი ძალიან მაგარი თამაში გამორეულიყო, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს სამი ცოტაა?!

# გოგონას ხელი ჰკრეს!

## ვიტ ჯორჯია-ბორჯომის არგუმენტები — 2:1

ვიცით, ბევრი იტყვის, რა ტვინი წაიღეს ამ „ბორჯომ" — „ვიტ ჯორჯიათიო". საქმეც ესაა, მიჩუმათებ-მიჩუმათებითაა, სკანდალურმა მატჩებმა რომ იმატა. აქ მხოლოდ ბორჯომში მომხდარ ინციდენტს როდი ვგულისხმობთ — მგონი, საქართველოში რეგიონი არაა დარჩენილი, თავისი წილი უმსგავსობა რომ არ დაეტყო კვალად. „სარბიელში" ვიტჯორჯიელი პაატა დათუნაიშვილის, მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის უფროს ამირან კაჭახიძისა და „ბორჯომის" პრეზიდენტ დავით გელაშვილის ნაუბრებს უკვე წაიკითხავდით, დღეს კი ამ მატჩზე მივლენილ ოფიციალურ პირებს მოვუსმინოთ...

*მერაბ ჭელიძე, მსაჯთა დამკვირვებელი:* სტუმართა ადგილზე ვიჯექი, ინციდენტი კი ქვემოთ, ტრიბუნაზე იყო. რაღაც რომ მოხდა, ამას თქმაც არ უნდა, თორემ ფეხბურთელი გიჟი ხომ არ არის, უცებ გინება დაეწყო გულშემატკივრებისთვის. ტრიბუნიდან მინდორზე რამდენიმე ბოთლი ისროლეს, მინდვრიდან გადმოსროლილი საგანი კი არ დამინახავს.

*მალხაზ ნორაკიძე, მატჩის დირექტორი:* თამაშის დაწყებამდე მეოთხე მსაჯთან შევარჩიე ადგილი და დაცვას ვთხოვე, მავთულლობესა და გულშემატკივრებს შორის განაწილებულიყვნენ. მოჟამული ამინდის გამო ტრიბუნაზე ბევრი ხალხი არ იყო, თუმცა მერე და მერე მოგროვდა ახალგაზრდობა.

...მეორე ტაიმში ჩემი თვალით დავინახე, რომ ტრიბუნაზე ფეხზე მდგომ გოგოს ხელი ჰკრეს, ეს აშკარად შესამჩნევი იყო. თავიდან მეგონა, ახალგაზრდები ლაზღანდარობენ-მეთქი, მაგრამ მაშინვე ჩოჩქოლი ატყდა.

— იმ მომენტში თამაში მიმდინარეობდა?

— დიახ. სწორედ იმ დროს, გოგოს რომ ხელი ჰკრეს, ბურთი იმ მხარეს გადავარდა აუტში და ფეხბურთელების აღშფოთებაც მაშინ დაიწყო.

— „ბორჯომის" პრეზიდენტმა გვითხრა, გოგონებმა იქით მოახდინეს გულშემატკივრების პროვოცირებაო...

— რაც არ მინახავს, იმას როგორ ვიტყვი. დავინახე, რომ ერთ-ერთ გოგოს გამეტებით ჰკრეს ხელი. გარდა ამისა, „ბორჯომის" პრეზიდენტი ამბობს, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელმა ბოთლი ისროლა ტრიბუნისკენო — არც ეს დამინახავს. აი, ტრიბუნიდან კი გადააგდეს ორი-სამი ბოთლი მინდორზე. ისე, პაატა დათუნაიშვილს კი ვუთხარი, როცა იცი, ასეთი მდგომარეობაა, გოგონები სტუმართა ადგილას დაგესვა-მეთქი.

— დათუნაიშვილმა გვითხრა, ინციდენტის დროს პოლიცია უმოქმედოდ იდგაო..

— იცით, უმოქმედობას ვერ დავარქმევ, მაგრამ... რაიონში პირველად არ ვყოფილვარ დირექტორად და ვიცი, ინციდენტის დროს რაც ხდება ხოლმე. ადგილობრივი პოლიცია მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება, ლმობიერად მოექცეს იქაურ ქომაგებს — იმ ქალაქში მუშაობს, შეიძლება სახელი და გვარიც იცის იმ ვაი-გულშემატკივრის, ან სულაც კარგად იცნობს. და მაინც, პოლიციამ თამაშის შემდეგ ხალხს „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებთან მიახლოების საშუალება არ მისცა, გასახდელისკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს და „ვიტ ჯორჯიას" ავტობუსთანაც არ მიუშვეს, მერე მინდორზე გადასროლილი საგნებიც მოასუფთავეს. გარდა ამისა, მავთულლობეზე არც ფეხბურთელები და არც გულშემატკივრები არ გადასულან.

— კლუბების ხელმძღვანელები ხომ არ ჩაერივნენ ინციდენტში?

— ყველა მინდორზე იყო და ცდილობდა, სიტუაცია განემუხტა.

**ილია ნანობაშვილი**

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. X ტური

დებრეცენი 1:1 დიოშდიორი

### გერმანია

ბუნდესლიგა. VIII ტური

დორტმუნდი 1:1 ბოხუმი

II ბუნდესლიგა. VIII ტური

ფრაიბურგი 2:0 ბურგჰაუზენი

ფიურტი 3:5 დუისბურგი

კარლსრუე 4:1 კარლ ცაისი

უნტერჰახინგი 0:0 კიოლნი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XII ტური

დიუსელდორფი 2:1 უნიონი

ოსნაბრიუკი 2:0 ვილჰელმშაფენი

სამხრეთ რეგიონალლიგა XII ტური

ლაუტერნი (მ) 0:2 შტუტგარტი (მ)

კიკერსი 1:1 ბაიერნი (მ)

*აალენი — დარმშტადტი გადაიდო*

### იტალია

სერია B. VIII ტური

რიმინი 2:0 ბრეშა

### პოლონეთი

პირველი ლიგა XI ტური

ვიძევი 3:2 ლეხი

### რუმინეთი

A დივიზიონი. XII ტური

უნირეა 1:0 ვასლუი

ფარული 0:0 პეტროსანი

### პორტუგალია

სუპერლიგა. VII ტური

ბელენენსეში 2:0 ფერეირა

### თურქეთი

სუპერლიგა. X ტური

გენჩლერი 3:0 ტრაბზონი

სივა 3:2 მანისა

### რუსეთი

პრემიერლიგა XXIV ტური

დინამო 1:0 სპარტაკი (ნ)

შინიკი 1:3 ლუჩ-ენერგია

### ირლანდია

პრემიერლიგა XXVII ტური

კორკი 2:0 სლიგო

სენტ პატრიკსი 5:1 ბრეი

დუბლინი 0:2 შელბურნი

უოტერფორდი 1:2 ლონგფორდი

დერი 0:0 დროჰედა

### ამხანაგური მატჩი

ჰაიტი 0:1 კუბა

### ინგლისი

მეორე ლიგა XV ტური

ჩესტერი 2:1 ჰარტლპული

კონფერენსლიგა XVII ტური

კემბრიჯი 0:3 ოქსფორდი

### ავსტრია

I დივიზიონი. XIII ტური

ადმირა 2:4 კაპფენბერგი

აუსტრია (მ) 1:2 კერნტენი

ლუსტენაუ 1:1 პარნდორფი

გრატკორნი 0:0 შვანენშტადტი

ლინცერი 4:0 ჰარტბერგი

ლეობენი 6:2 აუსტრია (ლ)

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XII ტური

აიაჩო 2:0 ისტრი

ამიენი 0:4 დიჟონი

შატორუ 1:0 ბრესტი

კრეტეი 1:0 ლიბურნი

გრენობლი 2:2 გენიონი

გენგამი 0:2 მეცი

ნიორი 1:1 მონპელიე

ლე ავრი 1:0 რეიმსი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. VIII ტური

ტილბურგი 2:0 ჰერაკლესი

II დივიზიონი. XII ტური

გრააფსხაპი 1:1 ვეენდამი

ემენი 1:1 დორდრეხტი

ეინდჰოვენი 2:2 ალმერე

ვოლენდამი 1:1 მაასტრიხტი

სიტარდი 2:1 ტელსტარი

იგლსი 1:2 აპელდორნი

ჰაარლემი 3:2 ჰელმონდი

როზენდალი 2:0 კამბური

ოსი 3:1 ზვოლე

ვენლო 2:1 დენ ბოსხი



სარბიელელ
გოჩა ჯანაშიას და
სოფო წილოსანს
ვულოცავთ ქალიშვილის
ანასტასიას
დაბადებას.
სასახელო ქალი გაზრდილიყოს!
*სარბიელელები*

არ მოგვერიდება ამის თქმა — ქართულ ფეხბურთს კარგი გამთამაშებელი ეზრდება. თუ ყველაფერი აეწყო და ამ 16 წლის ბიჭმა საკუთარ თავზე ბევრი იმუშავა, სიტყვა „კარგი", შესაძლოა, „ძალიან მაგარია"-დ იქცეს.

მიხვდებოდით, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერ ლევან ყენიას ვგულისხმობთ, რომელმაც ახლახან დასრულებულ ევროშესარჩევ ციკლში რუსეთთან და გერმანიასთან ლაზათიანად იბურთავა. ყენიას სახელი პირველად ამ ტურნირზე როდი გავიგეთ, ზამთრიდან მოყოლებული, თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობს, ერთი კვირით კი „ბარსელონაშიც" გახლდათ სტაჟირებაზე...



# კარგია და ძალიანი გვინდა

## ლევან ყენია: ნერვებს და უხეშობას ერთად მოვერევი

— ხუთი წლისა შევედი „ნორჩ დინამოელში", ჩემი პირველი მწვრთნელი მალხაზ რაზმაძე გახლდათ. ხუთი წელი იქ ვთამაშობდი, მერე გუნდი დაიშალა და „დინამო-აკადემიაში" გადავედი გია ჭიაბერაშვილთან, ერთი წელი რეზო ბარამიძეც მავარჯიშებდა. 13 წლიდან კი „ლოკომოტივში" ვარ — ჯერ ჭაბუკთა გუნდში, ახლა ძირითადში.

— **16 წელი გუშინწინ შეგისრულდა. ასეთ მცირე ასაკში უმაღლეს ლიგაში თამაში არ გიჭირს?**

— თავიდან მართლაც იყო მორიდების მომენტი, მაგრამ ახლა ყველა მეუბნება და მეც ვგრძნობ, რომ 90 წუთი თუ არა, მატჩის დიდი ნაწილი მაინც შემიძლია ვითამაშო უმაღლეს ლიგაში.

— **ევროშესარჩევ ეტაპზე რას იტყვი, რა დააკლდა საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასასვლელად?**

— ყველაზე მეტად იღბალი. ისიცაა, რომ გერმანელები და რუსები ფიზიკურად ჩვენზე ძლიერები იყვნენ — თავს ვატყობდი, რომ ხისტი ორთაბრძოლისას კუნთი მეჭიმებოდა ხოლმე. აი, ტექნიკურად კი, მგონი, ორივეს ვჯობდით. ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მათ შორის, მეც.

— **ჰერბერტ ცანკერს ქართველი მწვრთნელებისგან განსხვავებული მიდგომა აქვს?**

— დისციპლინა მინდორზეც და მინდორს მიღმაც — ეს ყველაფერი ნაკრებში უმაღლეს დონეზეა. ცანკერი არა მარტო საფეხბურთო პლუს-მინუსებს, ცხოვრებისეულ მომენტებსაც აკვირდება, არც ერთ წვრილმანს უყურადღებოდ არ ტოვებს. გვეუბნება, იცოდეთ, მე არ გაკრიტიკებთ, მხოლოდ შეცდომებზე გითითებთო.

— **გერმანიასთან ორი ყვითელი ბარათის გამო გაგაძევეს. ნერვები ხშირად გღალატობს?**

— პირველ ყვითელს არ ვიმსახურებდი. აი, მეორედ კი ნერვებმა მიმტყუნა, გერმანელს მართლაც მივარტყი ხელი სახეში და ამას ძალიან ვნანობ. საერთოდ, ამაზე სამუშაო მაქვს, ასე დამემართა საბერძნეთში გამართულ ტურნირზეც და იქაც გამაძევეს. მწვრთნელი მეუბნება, შენ ისეთ პოზიციაზე და ისეთი სტილით თამაშობ, ხშირად ეცდებიან, უხეშობით გამოგიყვანონ მწყობრიდან და ნერვები მოთოკეო. ისე, რუსებისგან და გერმანელებისგან ასეთი სიმულანტობა ძალიან გამიკვირდა — მთელი მატჩი მინდორზე არ უნდა იგორაო...

— **თამაშს საკუთარ თავზე ძალიან ხშირად იღებდი. ეს ცანკერის დავალება იყო?**

— მწვრთნელიც მეუბნებოდა და მეც ვატყობდი, რომ ინდივიდუალურად გამომდიოდა თამაში. ბურთის უზომოდ თრევა არ მიყვარს, ეს ქომაგებსაც აღიზიანებს და საერთოდ, პასის კულტურას ძალიან ვაფასებ. მე რომ მწვრთნელი ვიყო, პასის არმცოდნე ფეხბურთელს არ ვათამაშებდი.

— **ალბათ, სამხრეთული ფეხბურთი გიყვარს...**

— სხვათა შორის, არა. გერმანიის ნაკრებსა და „ბაიერნს" ვქომაგობ. მიყვარს, ჯიგარს რომ დებენ თამაშში და ბოლო წამამდე იბრძვიან.

— **კერპიც გეყოლება...**

— საუკეთესო რონალდინიოა. ქართველებიდან კი ქინქლაძის, ჯამარაულისა და კიკნაძის თამაში მომწონდა. ალბათ, იცით, გიორგი კიკნაძე ბიძაჩემია — ფეხბურთზე მას არ შევუყვანივარ, მაგრამ მისი თამაში სტიმულს მმატებდა.

— **„ლოკომოტივზეც" ვთქვათ: ამ სეზონში სულ ორი მატჩი ითამაშე და გოლიც გაიტანე...**

— ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ვცდილობთ, რაც შეიძლება, მეტი თამაში მოვიგოთ, თავდაჯერება შევიმატოთ. „ბათუმთან" გავიტანე, ხვალ კი გორის „დილასთანაც" შევეცდები...

— **ზაფხულში „ბარსელონაში" იყავი სტაჟირებაზე და, როგორც გავიგეთ, ახლო მომავალში შეიძლება, ერთ-ერთ ესპანურ კლუბშიც ჩაირიცხო...**

— „ბარსელონაში" ჩემი ასაკის გუნდში ერთკვირიან გასინჯვაზე ვიყავი. დიდი „ბარსას" თამაშსაც ვუყურე და ყველა ვარსკვლავი ახლოდან ვნახე. მართლაც ზღაპარია. სანამ 17-წლამდელთა ტურნირი დაიწყებოდა, „ბარსელონას" ახალგაზრდული გუნდების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, თბილისში მომუშავე იაგო აგილარმა მითხრა, რამდენიმე გუნდთან მიმდინარეობს შენზე მოლაპარაკებაო, მათ შორის ყოფილა „ვალენსიაც".

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 9 ტური

# ზესტაფონში ათასებია მოსალოდნელი

## რეკორდსმენს ალავიძე მისდევს



„ზესტაფონი“ — „ამერი“. მეცხრე ტურის ეპიცენტრი იმერ-ქალაქშია

ბოლნისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია
**სიონი — ბორჯომი**
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ხუციშვილი, კ. გუდურაშვილი; ვ. გუმბერიძე

თელავი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. გივი ჩოხელი
**კახეთი — ტორპედო**
მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია; მ. ბეუქლიშვილი

ზესტაფონი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური
**ზესტაფონი — ამერი**
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი

თბილისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი
**ლოკომოტივი — დილა**
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ზ. ბერულავა, ლ. თოდრია; ვ. ელიკაშვილი

თბილისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი
**მერანი — დინამო**
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; მ. ელიკაშვილი, ს. სპიცინი; გ. ვადაჭკორია

რუსთავი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი
**ოლიმპი — ბათუმი**
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება; დ. სანაია

მცხეთა. 21 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი
**ვიტ ჯორჯია — ჩიხურა**
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; კ. გაბრიაძე, კ. ბერაძე, ა. გუნთაძე

**ზესტაფონში** დღეს ათი ათასამდე გულშემატკივარი უნდა შეიკრიბოს — ძალიან საინტერესოა, როგორ ათამაშებს გუნდს „ამერთან“ ზესტაფონელი ქომაგების ფავორიტი მწვრთნელი თემურ მახარაძე. იგი, ასე ვთქვათ, უფრო ჩაკეტილი ტაქტიკის მიმდევარია, მაგრამ არც „ამერია“ ის გუნდი, შეტევაში თავქუდმოგლეჯილი გაიქცეს.

ერთი სიტყვით, ტურის მთავარ შეხვედრაში მწვრთნელების დაპირისპირება ძალიან საინტერესო უნდა იყოს — გიორგი ჩიხრაძის გაწვრთნილი „ამერი“ მიმდინარე ჩემპიონატში დაუმარცხებელია და ვნახოთ, მოუძებნის თუ არა შინაურ კედლებში ყოჩაღად მოთამაშე მახარაძის გუნდი ღრიჭოს „ამერის“ დაცვას და მეკარეს.

ისიც გავიხსენოთ, რომ წლეულს ამ გუნდებმა საქართველოს თასის ფინალში ითამაშეს და ამერელებმა პენალტების სერიით იმარჯვეს. მიმდინარე სეზონში კი თასის ჯგუფურ ეტაპზე „ამერმა“ შინ 2:0 მოუგო „ზესტაფონს“, თუმც დღეს ალბათ სულ სხვანაირი, ბევრად უფრო დაძაბული იქნება ამ გუნდების შეხლა.

ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ სამ ქულაზე ილესავს კბილებს, მაგრამ გახსოვთ წინა ტური? „ბორჯომი“ ორჯერ აგებდა „ვიტ ჯორჯიასთან“, მაგრამ ორივეჯერ გაათანაბრა და მისთვის ფასეულ ფრესაც გამორჩა. ცხადია, „სიონი“ ფავორიტია, მაგრამ არც „ბორჯომია“ ის გუნდი, ბოლნისიდან ქულის წამოღებისთვის ვერ იბრძოლოს. ორივე გუნდში არიან კამერუნელი ლეგიონერები. ბორჯომელი პიერ მონგი სეზონისწინა შეკრებაზე სულაც „სიონში“ ისინჯებოდა და ალბათ ყველანაირად შეეცდება, ამ გუნდთან თავის გამოჩენას.

დუშან უჰრინის თბილისის „დინამო“ მოღონიერდა და მისთვის ყველა თამაშს ახლა ოქროს ფასი აქვს — თუ „დინამო“ „მერანთან“ ქულებს დაკარგავს, უშუალო კონკურენტებთან ჭიდილში, აბა, რა შანსი შერჩება?! მოკლედ, „დინამოსთვის“ ახლა ყველა თამაში MUST WIN GAME არის. „დინამო“ ერთადერთი გუნდია, მიმდინარე ჩემპიონატში ფრე რომ არ უთამაშია და არა გვგონია, ტრადიციას ახლა უღალატოს.

მეხუთე ადგილზე მეტს ველოდით „ვიტ ჯორჯიასგან“. ნესტორ მუმლაძის გუნდს რაღაც აკლია, უკეთესი შედეგი რომ ჰქონდეს. დღეს ვიტელებს დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლებათ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი პაატა დათუნაიშვილი.

ჯერაც ვერ გაეხსნა სარქველები საჩხერის „ჩიხურას“, არადა, გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, საქართველოს ჩემპიონატში თავი არაერთხელ რომ გამოუჩენია და გამოცდილებაც რომ არ დაეწუნება. ვფიქრობთ, მცხეთაში მძაფრი თამაში გაჩაღდება.

„კახეთი“ —„ტორპედოს“ წყვილში უკეთესი შანსი ქუთაისელებს აქვთ — „კახეთი“ პატარა სენსაციის მომხდენს არ ჰგავს, თუმც ვინ იცის...

არც გორის „დილა“ გამოიყურება „ლოკომოტივის“ დამჯაბვნელად — „კახეთსაც“ და „დილასაც“ ამ სეზონში ჯერ არ მოუგიათ.

ლიდერი კი იმ გუნდს ეთამაშება, რომელშიც მისი ბევრი ფეხბურთელი თამაშობდა წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე. „ოლიმპი“ ჩემპიონატში დაუმარცხებელია, თასის ჯგუფურ ეტაპზე კი 0:3 დამარცხდა „დინამოსთან“ და ალბათ სწორი დასკვნებიც გააკეთა. „ოლიმპის“ მეკარე მიხეილ ალავიძე ახლოსაა დინამოელი ზვიად სტურუას რეკორდის გაუმჯობესებასთან, რომელმაც 2004-05 წლების ჩემპიონატში ზედიზედ ცხრა მატჩში შეინახა კარი „მშრალად“ და ოდენ მეათეში გაუშვა გოლი.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:0 | 22 |
| ამერი | 8 | 7 | 1 | 0 | 16:2 | 22 |
| ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:3 | 17 |
| დინამო | 8 | 5 | 0 | 3 | 13:6 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 3 | 1 | 14:10 | 15 |
| ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 7:3 | 15 |
| სიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:7 | 11 |
| ბათუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| ლოკომოტივი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:10 | 8 |
| მერანი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:13 | 8 |
| ჩიხურა | 8 | 1 | 3 | 4 | 4:12 | 6 |
| ბორჯომი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:18 | 5 |
| დილა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:22 | 2 |
| კახეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 7:24 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 4-ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| გოჩაშვილი | ლოკომოტივი |
| დვალიშვილი | ოლიმპი |
| იაშვილი | დინამო |
| ველიაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| სირბილაძე | ოლიმპი |
| ფიფია | ზესტაფონი |

# ქართველები ფრანგებთან რევანშს გეგმავენ

*საფრანგეთის ნაკრები კიდევ ერთხელ ეწვევა საქართველოს, თუმცა ამჯერად ფუტზალის ნაკრები. ფრანგები 23 ოქტომბერს ჩამოფრინდებიან თბილისში და მომდევნო ორ დღეს ჩვენს ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. საქართველოს ნაკრებისთვის ეს შეხვედრები ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია ევროშესარჩევი ტურნირისთვის, რომელიც 15 იანვარს დაიწყება. ქართველებთან ერთად ჯგუფში ყაზახეთის, კვიპროსისა და მასპინძელი მალტის ნაკრებები მოხვდნენ. ჯგუფიდან გამარჯვებული გადის, თუმცა შანსი მეორეადგილოსანსაც აქვს, თუკი სხვა ჯგუფების მეორეადგილოსნებზე უკეთესი შედეგი ექნება.*

*ნაკრების სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ფუტზალის ასოციაციის პრეზიდენტმა კახა დევდარიანმა და ნაკრების მწვრთნელებმა, ანდრო მიზანდარმა და დავით სოლოღაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.*

*კახა დევდარიანი:* ჩვენი გუნდი საქართველოს ეროვნული ნაკრების ბაზაზე ემზადება. ამ მხრივ ფეხბურთის ფედერაციამ სრული თანადგომა გამოგვიცხადა. ფრანგებთან შეხვედრა შესარჩევი ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია. ამ მატჩებისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ — განათება 2,5-ჯერ გაძლიერდა, შევაკეთეთ დარბაზი, დამონტაჟდა ახალი ტაბლო...

...გვინდოდა რამდენიმე ბრაზილიელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიცემა, მაგრამ ეს საკმაო ფინანსებს მოითხოვს, რაც ასოციაციას ახლა არ გააჩნია. შესაძლო იყო რუსეთის კლუბებში მოთამაშე ქართული წარმოშობის ფეხბურთელების ჩამოყვანაც, მაგრამ მათ პრობლემა კლუბებმა შეუქმნეს.

*ანდრო მიზანდარი:* ფრანგებთან ვერ დაგვეხმარება ალეკო ძაბირაძე, რომელიც ყაზახურმა კლუბმა არ გამოუშვა, ბესო ზოიძეს ფეხი აქვს მოტეხილი, მეკარე ზვიად კუპატაძემ კი რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ყველა დანარჩენი ჩვენს განკარგულებაშია...

...კიდევ არის ამხანაგურის რამდენიმე ვარიანტი — ირანს, შოტლანდიას და ჰოლანდიას სურთ ჩვენთან თამაში. ყველაზე სავარაუდო ირანია, რადგან თბილისში ვიზიტზე მხოლოდ ისინი არიან თანახმანი. ჩვენ კი უფინანსობის გამო გამგზავრების პრობლემები გვაქვს...

...მეტოქეთაგან ყაზახეთი ყველაზე ძლიერია. მათ ქვეყნის ჩემპიონატიც მაღალი დონის აქვთ. ყაზახებზე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ ვცდილობთ ვიდეომასალის მოპოვებასაც. კვიპროსი საშუალო დონის გუნდია. სწორედ საფრანგეთის ნაკრებთან ჩატარებული შეხვედრის ვიდეომასალას ველით მათზე. მალტა დებიუტანტია და აუტსაიდერად ითვლება. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა.

„დარბაზის მამლების“ დამარცხებას ეს ფეხბურთელები შეეცდებიან: ლევან ზაქაიძე, ჯაბა ჯამბურია; გიორგი თორთლაძე, ალექსანდრე სარქისიანი, გიორგი ალთუნაშვილი, სერგი ნაზარეთიანი, ლაშა ცნობილაძე, შოთა კუბლაშვილი, ნიკა ოსეფაშვილი, რევაზ დევდარიანი, აჩიკო ბოკერია, ავთანდილ ასათიანი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# რუსეთში ქართველებს ფასი მოემატათ, ყაზანში პატივისცემა

## გოგიტა გოგუა: 2,5 მილიონი ერთი...

თითქოს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვაო. საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკური კონფლიქტი გამწვავდა, რუსეთში საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაცია დაიწყო, ყაზანის „რუბინის“ ძირითადი შემადგენლობიდან კი თანდათან ქართველი ფეხბურთელები ქრებიან. არადა, „რუბინი“ რუსეთში ყველაზე „ქართულ გუნდად“ ითვლება, იქ ერთბაშად ხუთი ჩვენიანია.

რა ხდება და რა არის მოსალოდნელი, რუსეთში ქართველ ფეხბურთელებსაც ხომ არ ერჩიან — ამ და სხვა კითხვებით ყაზანის „რუბინის“ ქართველ გენერალურ დირექტორს ირაკლი გეგეჭკორს მივმართეთ...



გოგიტა გოგუა

— ბოლო დროს „რუბინის“ ძირითადში ქართველების უთამაშებლობა არანაირ პოლიტიკას არ უკავშირდება. მეკარე რევიშვილი და მცველი არზიანი ისედაც არ არიან ძირითადის ფეხბურთელები; ქინქლაძე ტრავმირებული იყო; სალუქვაძეს რა სჭირს, ვერ გეტყვით; ხოლო აშვეთია თამაშობს ხოლმე. მან მხოლოდ ბოლო ტური გამოტოვა, რადგან საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული და ჩამოსვლა დააგვიანდა, ის კიევიდან პირდაპირ მოსკოვში შემოგვიერთდა და, ბუნებრივია, მგზავრობით დაღლილს მწვრთნელი არ ათამაშებდა, თანაც „სპარტაკთან“. ჩვენს გუნდში ქართველებისადმი მხოლოდ კეთილგანწყობა თუ არის, მეტიც, მწვრთნელ ყურბან ბერდიევს „რუბინი“ უქართველებოდ ვერ წარმოუდგენია. სხვა საქმეა, თუ ყველა ქართველს ძირითადში თამაში არ უწევს, ამის მიზეზები უკვე გითხარით.

— ლაშა სალუქვაძეზე ვერაფერს გეტყვითო. ფორმაში არ არის?

— ერთი შეხედვით, ფორმაშიც არის და არანაირი პრობლემა არ აწუხებს. ჩვეულებრივ, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს.. დანარჩენს კი მწვრთნელი გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ სალუქვაძემ ძირითადში ადგილი დაკარგა.

— ქინქლაძემ ტრავმა აქამდე ვერ მოიშუშა და ჩავთვალოთ, რომ მისთვის ეს სეზონი და ყაზანური კარიერა დამთავრებულია?

— არა, ის უკვე კარგადაა და შესაძლოა, კვირას „მოსკვასთან“ მან და აშვეთიამ ითამაშონ. ყოველ შემთხვევაში, ქინქლაძე უკვე მზადაა.

— თუმცა მას „რუბინთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება...

— თუ გიორგიმ ჩემპიონატის დარჩენილი მატჩები ითამაშა, მას კლუბი კონტრაქტს გაუგრძელებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურვილი გვაქვს. ქინქლაძე ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მწვრთნელს ის სჭირდება.

— წინა, ლამის ტრიუმფალური სეზონის შემდეგ, „რუბინი“ წლეულს აუტსაიდერთა შორისაა. არადა, როგორც ვიცით, კლუბის ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. რა არის სუსტი თამაშის მიზეზი?

— ტრავმები, გაუთავებელი ტრავმები. წლეულს „რუბინს“ საუკეთესო შემადგენლობით ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, მეორე წრეში კი მთლად უთავდამსხმელოდ დავრჩით და, ვიდრე აშვეთია გამოჯანმრთელდებოდა, მწვრთნელი ნაირნაირ ექსპერიმენტს მიმართავდა, ერთხელ სულაც მცველი ათამაშა თავდამსხმელად. ჩვენ მოსამზადებელ პერიოდში შვეიცარიაში ყოფნამ დაგვღუპა, სწორედ იქიდან ჩამოვედით განახევრებული შემადგენლობით.

— ტრავმიანობა ალბათ რუსეთის ჩემპიონატის გადატვირთული კალენდრითაა გამოწვეული...

— არა, კალენდარი არაფერ შუაშია. მწვრთნელებმა აღიარეს, რომ გუნდის მოსამზადებელი გეგმა არასწორად ჰქონდათ შედგენილი და ფეხბურთელებმა ფიზიკურ დატვირთვებს ველარ გაუძლეს. მართალია, ახლა ყველა ჯანმრთელადაა, მაგრამ გუნდი უკვე ფსიქოლოგიურადაა გატეხილი, ჩემპიონატის ბოლომდე კი ბევრიც არაფერი დარჩა.

— მოკლედ, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური პრობლემები „რუბინის“ ქართველ ფეხბურთელებს არ ეხებათ...

— არანაირად. ფეხბურთი და პოლიტიკა სხვადასხვაა, მით უმეტეს, ყაზანისთვის და „რუბინისთვის“, სადაც ქართველ ფეხბურთელებს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. ბოლო დროს მთელი გუნდი ქართველი ფეხბურთელების გვერდითაა, ყველანაირად ეხმარებიან და ახლა მათ უფრო აფასებენ. „რუბინში“ ასეა და სხვაგან რა ხდება, ვერ გეტყვით.

— შეიძლება, სხვა გუნდებში ქართველებს პრობლემები ჰქონდეთ?

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, იაროსლავლის „შინიკში“ ორივე ქართველი სტაბილურად თამაშობს. ვლადივოსტოკში ბოლო დროს ლომაიაც ძირითადში გამოჩნდა; ნალჩიკის „სპარტაკში“ გოგუა ლიდერია და მისი გადაბირებით უკვე რუსეთის ჩემპიონატის ლიდერები არიან დაინტერესებულნი; ასათიანი კი, მგონი, მთელი მოსკოვის საყვარელი ფეხბურთელია.

— გოგუას რომელი გუნდები ეპატიჟებიან?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ გავიგე, რომ ჩვენ გარდა მას მოსკოვის სამი გუნდისგან აქვს ერთმანეთზე უკეთესი წინადადება. თანაც არც ნალჩიკელებს სურთ მისი დათმობა.

— მისი სატრანსფერო ფასი დაახლოებით რამდენია?

— როგორც ვიცი, ორი მილიონიდან ორნახევარ მილიონ დოლარამდე. გოგუამ მომავალი სეზონიც თუ ასეთ დონეზე ჩაატარა, მისი ფასი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ახლაა.

— „რუბინი“ სხვა ქართველების დამატებაზე არ ფიქრობს?

— შეიძლება, ვფიქრობდეთ კიდეც, მაგრამ... ერთადერთი ასე თუ ისე პოლიტიკური პრობლემა სავიზო საკითხებია. თუმცა ახლა რუბინელ ქართველებს ეს პრობლემა არ აქვთ.

**ძოგა ინასარიძე**

# აშვეთია: ახლა ორი კვირით

ყაზანის „რუბინის“ ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია გუშინ ისევ დაშავდა, ამჯერად ვარჯიშზე და დაახლოებით ორკვირიანი უქმობა მოუწევს. არადა, „რუბინის“ გენერალური დირექტორის ირაკლი გეგეჭკორის თქმით, ქართველ თავდამსხმელს რუსეთის პრემიერლიგის უახლოეს მატჩში ძირითად შემადგენლობაში უნდა ეთამაშა...



— კვირას „მოსკვასთან“ მართლაც ძირითადში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამის გარდა, ალბათ, ერთ-ორ თამაშს კიდევ გამოვტოვებ. ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი დამეჭიმა და, როგორც ექიმებმა მითხრეს, მკურნალობას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება.

— ახლა გასაგებია, რატომაც ველარ ითამაშებს, თუმცა „რუბინის“ ძირითადში არც აქამდე იყავი სტაბილურად...

— ხან ტრავმა მაწუხებდა, ხან სანაკრებო შეკრებაზე ვიყავი... ახლა კი, თითქოს სასურველი ფორმა აღვიდგინე და ძირითადში ადგილი უნდა დამებრუნებინა... ისევ დავშავდი.

— საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკური კონფლიქტი „რუბინის“ ქართველებზე არ მოქმედებს?

— არანაირად. ყაზანში სიმშვიდეა და ქუჩაშიც თავისუფლად დავდივართ. არავინ გვერჩის, პირიქით, მგონი, ახლა მეტ პატივისცემასაც კი გამოხატავენ ჩვენ მიმართ.

— რუსეთში მოთამაშე სხვა ქართველებისგან რა იცი?

— არც მათ აქვთ პრობლემა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ვინმესთან ურთიერთობა გაურთულდა...

— სანაკრებო მატჩების მერე მოსკოვში კიევის გავლით ჩასულხარ...

— აბა, თბილისი-მოსკოვი არ დაფრინავდა და რა მექნა?!

— საბაჟოზე უპრობლემოდ გაგატარეს?

— ზედმეტად არავის შევუწუხებივარ. საერთოდ, რუსეთში ფეხბურთელებზე პრობლემა არ აქვთ, მით უმეტეს, საბუთები ყველას მოწესრიგებული გვაქვს.

— როგორც ვიცით, „რუბინთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს გიმთავრდება. რას აპირებ?

— ჯერ არ ვიცი... წასვლა მინდა და ვნახოთ, რა გამოვა.

— წასვლა რატომ გინდა?

— გუნდს ვერ შევეწყვე, გოლებიც ველარ გამაქვს და ვფიქრობ, სხვაგან გადასვლის დროა.

— მოსკოვის „ლოკომოტივში“ ხომ არა, სადაც შენი ამთვალწუნებელი მწვრთნელი უკვე მოხსნეს?

— არა, „ლოკომოტივში“ ჩემი დაბრუნება გამორიცხულია. სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ვიქნები და ახალი გუნდის მოძებნა არ უნდა გამიჭირდეს.

— „რუბინში“ კონტრაქტის გაგრძელებაზე ლაპარაკი ჯერ არ ყოფილა?

— ჯერ არა, მაგრამ მითხრეს უახლოეს დღეებში დაგილაპარაკოთო. ვნახოთ, ეგებ დავრჩე კიდეც, გააჩნია, როგორ კონტრაქტს შემომთავაზებენ.

**ძოგა ინასარიძე**

# ჩიხურარი კამერუნს

## ახალი ამბავი მანწკავაა

**საჩხერის** „ჩიხურამ“ გასინჯვაზე მყოფი კამერუნელი ლეგიონერები, ნახევარმცველი კრისტიან მიშელ ეპანი და თავდამსხმელი ემანუელ ჟიაპა დაიწუნა და კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა. „ჩიხურას“ პრესსამსახურის ცნობით, საჩხერელები კამერუნელებს უკვე დაემშვიდობნენ.

შეგახსენებთ, რომ ეპანი და ჟიაპა „ჩიხურამდე“ თბილისის „დინამოშიც“ ისინჯებოდნენ, თუმცა ვერც დუშან უჰრინს მოაწონეს თავი.

„ჩიხურაზე“ კი იმასაც გეტყვით, რომ ზემოიმერული კლუბი დღეღეზე „ბათუმის“ ყოფილ ნახევარმცველ გიორგი მანწკავას გაუფორმებს კონტრაქტს. როგორც შევიტყვეთ, მხარეები თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულები არიან და ახლა საჩხერელები ფეხბურთელის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანას აპირებენ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# დაარწმუნე ბუფონი



**„ჩელსი“** ექიმებს ტრავმირებული პეტრ ჩეხის შემცვლელს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ლონდონური კლუბი შინ თუ ევროპაში პირველობისთვის იბრძვის, ამიტომ უმაღლესი კლასის მეკარე სჭირდება, ასეთი კი ჯანლუიჯი ბუფონია.

გაირკვა, რომ ჟოზე მაურინიუმ რომან აბრამოვიჩს იტალიელი მეკარეზე ჩამოუგდო სიტყვა და „ჩელსი“ უკვე დაუკავშირდა ბუფონის მავან წარმომადგენელ პაოლო ფაბრის. „ვიცი, რომ აბრამოვიჩს ფული არ უჭირს და კარგი გადამხდელია, მაგრამ მთავარია, მან ბუფონი დაარწმუნოს „ჩელსიში“ გადასვლის სისწორეში. აქ საუბარი ფულზე კი არა, შანსზეა, რომელიც ჯიჯის გაუჩნდა. არა მგონია, იტალიიდან წასვლა სურდეს, მაგრამ კაცია და გუნება. ვინ იცის, ეგებ დათანხმდეს კიდეც, ფეხბურთში ყველაფერი ხდება“ — თქვა ფაბრიმ.

თუკი „ჩელსიმ“ ტრანსფერი მოაკვარახჭინა, ბუფონს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება ექნება, რადგან „იუვე“ ევროთასებზე არ გამოდის. იტალიის ნაკრების მეკარეს კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და „იუვენტუსის“ ერთგული დარჩა, მიუხედავად სერია B-ში ჩაქვეითებისა. იმ შემთხვევაში, თუ ბუფონი „ჩელსიში“ გადასვლას დაყაბულდება, ეს იანვრის სატრანსფერო ფნაჯრისას მოხდება.

რაც შეეხება პეტრ ჩეხს, ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს. იგი რადკლიფის ჰოსპიტალიდან გამოწერეს და სახლთან ახლო საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას უკვე სიარულიც შეუძლია, მაგრამ კარამდე ჯერ შორია...

**ირაკლი ნინიძე**

# დელიო როსი ნოემბერში დაიბარეს



**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ** მედიის ცნობით, „ლაციო“ მწვრთნელ დელიო როსისთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. „ბიანკოჩელესტიმ“, რომელსაც კალჩოპოლის სკანდალის შედეგად 11 ქულა დააკლეს, ჩემპიონატი ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ ვითარება გამოაკეთა. „მილანთან“ და „პალერმოსთან“ წაგების მერე სამი თამაში მოიგო, გასულ უქმეებზე კი „კალიარის“ დაუზავდა. ახლა ერთი ქულაღა სჭირდებათ მინუსის გასაბათილებლად.

დელიო როსის კონტრაქტი 2009 წელს ეწურება, მაგრამ კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს სურს, მწვრთნელთან ხელშეკრულება ორი წლით გააგრძელოს და ჯამაგირიც მოუმატოს.

როსი ჯერ არ შეხვედრია კლუბის დირექტორატის წევრებს, მაგრამ ეს ალბათ ნოემბერში მოხდება.

„ლაციოს“ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს. ლოტიტოს მათი შენარჩუნება და ძლიერი გუნდის შექმნა სურს, ამიტომაც გაუფორმეს გრძელვადიანი კონტრაქტები გორან პანდევს, ვალონ ბეჰრამის, სტეფან მაკინვასა და კრისტიან ლედესმას.

**გიორგი დარჯანია**

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჩარლტონი | : | უოტფორდი |
| ჩელსი | : | პორტსმუთი |
| უიგანი | : | სიტი |
| ევერტონი | : | შეფილდი |
| ასტონ ვილა | : | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| მანჩესტერი | : | ლივერპული |
| მიდლსბრო | : | ნიუკასლი |
| რედინგი | : | არსენალი |
| ტოტენჰემი | : | ვესტ ჰემი |
| ბლექბერნი | : | ბოლტონი |

# ინგლისი
## მერვე ხუთასიანი

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ** მთავარ დაპირისპირებად „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ლივერპულია“ მონათლული და ეს კლუბები კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ ხვდებიან. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და „ჩელსისთან“ პირველ ადგილს იყოფს. „ლივერპული“ კი მხოლოდ მეთერთმეტეა და ამ მატჩის წაგების შემთხვევაში რაფაელ ბენიტესი და კომპანია ჩემპიონობაზე ოცნებას პრინციპში უნდა დაემშვიდობონ, რადგან 11 ქულის აღმოფხვრა ძალიან ძნელი იქნება.

„კოპენჰაგენთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩი რიო ფერდინანდმა და გარი ნევილმა გამოტოვეს, რომლებიც „მანჩესტერს“ დაუბრუნდებიან. დიდი შანსია, გაბრიელ ჰაინცემ და რაიან გიგზმაც ითამაშონ. მიკაელ სილვესტრი და ჯი სუნგ პარკი კი ლაზარეთში რჩებიან.

„ლივერპულის“ ექიმები ყველაფერს გააკეთებენ, რომ გუნდის კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა თამაში შეძლოს. დანიელ აგერი და რობი ფაულერი მერსისაიდელებს ვერაფრით დაეხმარებიან.

პოლ სქოულზი გახდება მერვე ფეხბურთელი „მანჩესტერის“ ისტორიაში, ვინც ხუთასმატჩიან ნიშნულს მიაღწევს. „ლივერპულთან“ შეხვედრა ასევე საიუბილეოა უეინ რუნისთვის. იგი მეასე თამაშს გამართავს. ხოლო თუ უესლი ბრაუნიც ითამაშებს, მისთვის ეს მეორასე შეხვედრა იქნება. ნემანია ვიდიჩი და კირონ რიჩარდსონი კი დაბადების დღეს ალბათ მინდორზე აღნიშნავენ. პირველი 25-ის, ხოლო მეორე 22 წლის ხდება.

თუ ჯერარდი თამაშს შეძლებს, ეს მისი 350-ე მატჩი იქნება „ლივერპულის“ მაისურით, იონ არნე რიისესთვის კი 150-ე.

ჩემპიონატში ეს კლუბები ერთმანეთს 174-ჯერ შეხვედრიან. აქედან „მანჩესტერმა“ 68 მატჩი მოიგო, „ლივერპულმა“ 56, ხოლო 50 თამაში ფრედ დასრულდა. უშუალოდ „ოლდ ტრეფორდზე“ „წითელმა ეშმაკებმა“ 41-ჯერ იმარჯვეს. მერსისაიდელებმა 17-ჯერ, 29-ჯერ კი ფრე აღინიშნა. წინა სეზონში „ენფილდზე“ მატჩი უგოლოდ დასრულდა, ხოლო შინ ფერგიუსონის გუნდმა ფერდინადის ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოიგო.

„მანჩესტერმა“ პრემიერლიგის ბოლო 22 მატჩიდან 17 მოიგო, ხოლო „ლივერპულს“ გასვლაზე 7 მაისის მერე არ უმარჯვია. მეტიც, ბენიტესის შეგირდებმა უკანასკნელი სამი საგარეო მატჩი ისე წააგეს, რომ გოლიც არ გაუტანიათ.

„რაფა იგივე სისტემას იყენებს, რომელიც „ვალენსიაში“ ჰქონდა, ანუ ყველა მატჩში რაღაცას ცვლის და „ლივერპული“ ჯერ ამას ბოლომდე ვერ შეეგუა. მე ასე არ ვიქცევი, თუმცა ცვლილებები ხშირად რომ არის საჭირო, ეს ფაქტია. ჩვენ დაახლოებით 90 ქულა დაგვჭირდება ჩემპიონობისთვის, რადგან „ჩელსი“ ისევ ფორმაშია. ლონდონელებს თუ ახლავე ჩამოვრჩით, მერე ძალიან მცირე შანსი გვექნება, თუმცა არც „არსენალის“ და „ლივერპულის“ ჩამოწერაა სწორი. პროგნოზების გაკეთება იანვრამდე უაზრობად მეჩვენება“ — თქვა ფერგიუსონმა.

„ჩელსი“ „პორტსმუთს“ მასპინძლობს და მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბებს ერთმანეთთან მხოლოდ სამი ქულა აშორებთ, უდავო ფავორიტად ითვლება. საინტერესოა, რომ „ჩელსიმ“ ბოლო 6 შეხვედრა ისე მოიგო „პორტსმუთს“, გოლიც არ გაუშვია და თავად სულ მცირე, ორი გაჰქონდა.



სქოულზი „მანჩესტერში“ მეხუთასედ ითამაშებს

„რედინგმა“ წლეულს უკვე ბევრი გააოცა და გაამწარა. ამჯერად „მადეისკიზე“ „არსენალს“ მოუწევს გამოცდის ჩაბარება. „უაით ჰართ ლეინზე“ კი კიდევ ერთი ისტორიული დაპირისპირებაა — „ტოტენჰემი“ „ვესტ ჰემს“ უმასპინძლებს.

**გიორგი ქაქაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | | | | 0:1 | | | | | 5:1 | | | | 1:0 | 2:0 | | | | | |
| 2 | ჩელსი | | | | | | 1:1 | | | | | 1:0 | 3:0 | | | | | | | | 2:1 |
| 3 | ბოლტონი | | | | | | | | | | | 2:0 | | 0:0 | 2:0 | | | | | 1:0 | |
| 4 | პორტსმუთი (17) | | | 0:1 | | | | | | 3:0 | | | | | | | | 1:0 | 2:0 | | |
| 5 | არსენალი | | | | | | 1:1 | | | | | | | 1:1 | | | 3:0 | | | 3:0 | |
| 6 | ასტონ ვილა | | | | | | | | 2:1 | | | | | | 1:1 | 2:0 | | | | | 2:0 |
| 7 | ევერტონი | | | | | | | | | | | 3:0 | 1:1 | | | | | 2:2 | | 2:1 | |
| 8 | რედინგი | 1:1 | 0:1 | | | | | | | | | | 1:0 | 3:2 | | | | | | | |
| 9 | ბლექბერნი | | 0:2 | | | | | 1:1 | | | | | 4:2 | | | | | 2:1 | | | |
| 10 | ფულემი | | 0:2 | 1:1 | | | | | | | | | | | | | 1:0 | | | | 2:1 |
| 11 | ლივერპული | | | | | | | | | 1:1 | | | | | 3:0 | 2:0 | | | 2:1 | | |
| 12 | სიტი | | | | 0:0 | 1:0 | | | | | | | | | | | 0:0 | | 2:0 | | |
| 13 | მიდლსბრო | | 2:1 | | 0:4 | | | 2:1 | | 0:1 | | | | | | | | | | | |
| 14 | ტოტენჰემი | | | | 2:1 | | | 0:2 | | | 0:0 | | | | | | 2:0 | | | | |
| 15 | ნიუკასლი | | | 1:2 | | | | 1:1 | | | 1:2 | | | | | | | 2:1 | | | |
| 16 | შეფილდი | | | | | | | | 1:2 | 0:0 | | 1:1 | | 2:1 | | | | | | | |
| 17 | უიგანი | 1:3 | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | | 1:1 | |
| 18 | ვესტ ჰემი | | | | | | 1:1 | | 0:1 | | | | | | | 0:2 | | | | | 3:1 |
| 19 | უოტფორდი | 1:2 | | | | | 0:0 | | | | 3:3 | | | | | | | | 1:1 | | |
| 20 | ჩარლტონი | 0:3 | | 2:0 | 0:1 | 1:2 | | | | | | | | | | | | | | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:5 | 19 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| 2 | ჩელსი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:4 | 19 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| 3 | ბოლტონი | 8 | 5 | 2 | 1 | 9:4 | 17 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| 4 | პორტსმუთი (17) | 8 | 5 | 1 | 2 | 12:3 | 16 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| 5 | არსენალი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:4 | 14 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| 6 | ასტონ ვილა | 8 | 3 | 5 | 0 | 10:5 | 14 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| 7 | ევერტონი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 13 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| 8 | რედინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 13 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 9 | ბლექბერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:10 | 12 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| 10 | ფულემი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:13 | 12 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 | 1 | 2 | 1 | 6:9 | 5 |
| 11 | ლივერპული | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| 12 | სიტი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | 9 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 8 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| 13 | მიდლსბრო | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| 14 | ტოტენჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:10 | 8 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| 15 | ნიუკასლი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:12 | 7 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| 16 | შეფილდი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:10 | 6 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |
| 17 | უიგანი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| 18 | ვესტ ჰემი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:12 | 5 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| 19 | უოტფორდი | 8 | 0 | 4 | 4 | 7:13 | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | 3 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| 20 | ჩარლტონი | 8 | 1 | 0 | 7 | 6:15 | 3 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 | 0 | 0 | 4 | 3:9 | 0 |

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| დეპორტივო | : | ატლეტიკო |
| მალიორკა | : | სოსიედადი |
| სარაგოსა | : | ბეტისი |
| **ხვალ** | | |
| უელვა | : | ხეტაფე |
| რეალი | : | ბარსელონა |
| სევილია | : | ხიმნასტიკი |
| ბილბაო | : | სელტა |
| ვალენსია | : | ოსასუნა |
| ესპანიოლი | : | რასინგი |
| ვილიარეალი | : | ლევანტე |

# ესპანეთი

# რეალი VS ბარსელონა ყელში გაჩხერილი 0:3

**კარგა ხანია,** მადრიდში „ბარსელონას" ჩასვლას ასე აღფრთოვანებით არ დალოდებიან. „ბერნაბეუს" ინჩასებს მოსისხლე მტერი კი არ შეჰყვარებიათ, უბრალოდ, კატალონიელებზე გამარჯვების დიდი იმედი გაუჩნდათ. ეს ყველაფერი „ევროპის ანარეკლმა" გააკეთა. „ბარსელონამ" ლონდონში „ჩელსისთან" სალიგო მატჩი წააგო, ხოლო „რეალმა" ბუქარესტის „სტიაუა" სტუმრად გაანადგურა. რა თქმა უნდა, მადრიდში „ჩელსის" და „სტიაუას" ერთმანეთთან არავინ ადარებს, საფეხბურთო ვნებებით გამოწრთობილ ქალაქში ყველამ მშვენივრად იცის, მოედანზე ვინ რას წარმოადგენს. თუმცა „ბარსა" რომ ძველი, ანუ შარშანდელი გუნდივით დიდს და პატარს მიწასთან ველარ ასწორებს, ესეც ცხადია. „ჩვენ მათ დავამარცხებთ", „ახლა ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია, მოვიდეს „ბარსელონა" და ნახავს, რასაც მიიღებს" — აი, ასეთი განცხადებები გამოჩნდა ესპანურ მედიაში „ელ კლასიკომდე" ორი დღით ადრე. საომარ მოწოდებათა ავტორები „რეალის" ფეხბურთელები და სამეფო გუნდის ტიტულიანი ინჩასები არიან — ესპანური პრესა მატჩამდე პროგნოზს ტრადიციულად იქაურ სახელოვან ხალხს, ბომონდს სთხოვს და მსახიობები თუ სწავლულები თავიანთ აზრს ხალისიანად გამოთქვამენ...

თუმცა ბომონდის ინჩასური ვნება ხშირად ბოლომდე არ გაჰყვება ხოლმე... ნამდვილი ინჩასი რიგითი მადრიდელია, „ბერნაბეუს" ტრიბუნას „ბარსას" განადგურების იმედით რომ მიაწყდება. გახსოვთ, შარშან სამეფო თეთრების ფანები ტაშს ვის უკრავდნენ? ვის და რონალდინიოს... მაშინ („ბარსამ" 3:0 მოიგო) კატალონიელთა კიჭამ „რეალი" ორი ისეთი გოლით გააბითურა, რომ აპოლდისმენტები „სანტიაგო ბერნაბეუს" ტრიბუნას მოსწყვიტა. ეს „რეალისთვის" შემაძრწუნებელი იყო და თუ ღირსება გააჩნიათ, მასპინძლები სტუმართა დაჩრდილვას ყველანაირად უნდა ეცადონ. ძალიან მწარე სანახავია, როცა თავისიანზე განაწყებული ინჩასი ტაშს გადამთიელს და მერე ვის — თვით „ბარსას" ლიდერს უკრავს.

ხვალინდელი „ელ კლასიკო" სამუელ ეტოოს გარეშე ჩაივლის. „ბარსას" მადრიდში ყველაზე მრისხანე მეომარი არ ეყოლება. ეტოომ „ვერდერთან" მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და „ბერნაბეუზე" დამწუხრებას გადაარჩინა — იქაურები ექსმადრიდელის გატანილ გოლებს და გულზე შურისმაძიებელ მჯილის ბრაგუნს 22 ოქტომბერს ვერ ნახავენ. რონალდინიო კი იქნება, მაგრამ კიჭას ღიმილი გაუხუნდა, ისე ველარ თამაშობს, მტერს და მოყვარეს ალტაცებისგან სულს რომ უხუთავდა. თუმცა... „არავინ იცის, ფეხბურთის ჯადოქარი „ელ კლასიკოში" რას მოიმოქმედებს. თუ „აფეთქდა" და ძველი დრო გაიხსენა, მტრისას მაშინ „რეალს"... სერხიო რამოსს და ელგერას შეუძლიათ, კანავაროს მოუყვნენ, რონალდინიომ მადრიდელი მცველები რა დღეშიც ჩააგდო" —



ეწერა „მარკას" პარასკევის ნომერში.

არ იქნება რონალდო. ბრაზილიელმა ზაფხულში ფეხზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა, თუმცა მიუხედავად ამისა, თავგანწირული წვრთნა-ვარჯიშით „ელ კლასიკომდე" ფორმაში ჩადგომა მოასწრო. რონალდოს მადრიდში „მუჰამედ ალი" შეარქვეს. კაცი დღისით ხომ ვარჯიშობდა და თავს იკლავდა, მერე კი ღამით გამოდიოდა და ლა მორალეხას უბანში დარბოდა ძალის მოსაკრებად... ესპანეთის ტელევიზიამ ბრაზილიელის ღამეული ვარჯიში მალულად გადაიღო და „მუჰამედ ალიც" მაშინ გაჩნდა — რონალდო [illegible]ლისას მუშტებს გამწარებით იქნევდა, თითქოს თავისი ყოფილი „ბარსას" გალახვა სურდა... მერე კი „ხეტაფესთან" ავბედითი მატჩი, უცნაურად მიღებული წითელი ბარათი და რონიც „ელ კლასიკოს" სტოვებს... საწყენია ეს ყველაფერი (მატჩის სანახაობრივი მხარის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა).

„ბერნაბეუზე" კარლეს პუიოლი ითამაშებს. „ბარსას" კაპიტანმა „ჩელსისთან" მატჩში მუხლში მწვავე ტკივილი იგრძნო და შეცვლა ითხოვა, თუმცა კარლესს ეს ამბავი მადრიდში ჯირითში ხელს ვერ შეუშლის. გუნდის ექიმები აცხადებენ, რომ პუიოლი „ელ კლასიკოსთან" სრულიად ჯანსაღად იქნება.

„ბარსას" კი ესპანურ-კატალონიური დერბის მთელი ისტორიის განმავლობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" ზედიზედ ორჯერ არ მოუგია. გამომდინარე აქედან, კატალონიურ გრანდში არ ყოფილა მწვრთნელი, მტრის მიწაზე ორი წელი მიჯრით გამარჯვება რომ ეზეიმოს. ჯერი ფრანკ რაიკარდზეა, თუ მოიგებს, ერთ ნავსსაც გატეხს და მეორესაც...

სხვა რაღა ვთქვათ. ალბათ მარტო ის, რომ მთელ მსოფლიოს ზღაპრული „ელ კლასიკოს" ხილვა ვუსურვოთ. მატჩისა, რომელსაც სანტანდერის „რასინგის" თავგადაკლული ფანი პერეს ბურული განსჯის, მატჩისა, რომლის წინაც ფაბიო კაპელომ ურყევად დამკვიდრებული ტრადიცია შეცვალა — „რეალის" ვარჯიშს ჟურნალისტები მთელი 15 წუთით დაასწრო... შეხვედრა, რომელიც დონ ფაბიოს „რეალში" მეორედ მოვლის ღირსეული აღმნიშვნელი უნდა გახდეს — 10 წლის წინ კაპელოს ბიჭებმა ბარსელონელი მეომრები 2:0 დაამარცხეს. „ელ კლასიკო", რომლის წინაც რობერტო კარლოსმა განაცხადა — ეს იგივეა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რომ ითამაშო...

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 1:1 | | 3:1 | | | | | | | | | 3:0 | | | | | | | | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| 2 | ვალენსია | | | | | | | | | 2:0 | | | | | | | | | 2:1 | 4:0 | | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 3 | ატლეტიკო | | 0:1 | | 2:1 | | | | 2:1 | | | | | | | | | | | | | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 13 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 4 | სევილია | | | | | | | | | 1:0 | | | | | 4:0 | | | | 3:2 | | | 6 | 4 | 0 | 2 | 13:8 | 12 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| 5 | რეალი | | | 1:1 | | | | | | | 0:0 | | | | | | | | | | 2:0 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 11 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| 6 | დეპორტივო | | | | | | | 3:2 | | | 2:0 | | | | | | | | | | 2:0 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 7 | სარაგოსა | | | | | | | | | | | 2:0 | | | 2:2 | | 3:0 | | | | | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| 8 | უელვა | | | | | | | | | | | 1:1 | | | 0:1 | | | | 2:0 | | | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 9 | ხეტაფე | | | | | 1:0 | | | | | | | | | | 1:0 | | 0:0 | | | | 6 | 3 | 1 | 2 | 4:3 | 10 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 10 | ვილიარეალი | | | | | | | 3:2 | 0:1 | | | | | | | | 0:0 | | | | | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 11 | მალიორკა | | | | | | 0:0 | | | | 1:2 | | | | | | 1:0 | | | | | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 12 | სელტა | 2:3 | 3:2 | | | | | | | | | | | 0:2 | | | | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 13 | ოსასუნა | | | | | | | | | 0:2 | | | | | | 0:1 | | | | 2:0 | | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 14 | ლევანტე | | | | | 1:4 | 2:0 | | | | | 0:1 | | | | | | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| 15 | რასინგი | 0:3 | | 0:1 | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 16 | ესპანიოლი | | | | | | | | | | | | 2:1 | 0:0 | | | | | | 0:1 | | 6 | 1 | 2 | 3 | 2:6 | 5 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| 17 | ბილბაო | 1:3 | | 1:4 | | | | | | | | | | | | | | | | | 1:1 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| 18 | ბეტისი | | | | | 0:1 | 1:1 | | | | | | | | | | | 3:0 | | | | 6 | 1 | 1 | 4 | 7:9 | 4 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| 19 | ხიმნასტიკი | | | | | | | | | | | | 1:2 | | | 2:2 | | 2:3 | | | | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | 4 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| 20 | სოსიედადი | | | | 1:3 | | | 1:3 | 2:3 | | | | | | | | | | | | | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | 1 | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

# ხავიერ აგირე: ჩემი გამჭირვებია

კატალონიურმა „ელ მუნდო დეპორტივომ" ესპანეთში და მსოფლიოში სახელგანთქმულ მწვრთნელებს, სთხოვა საკვირაო დერბიზე აზრი გამოეთქვათ. ჟურნალისტებმა პირველად ბერნდ შუსტერს მიაკითხეს, კაცს, რომელსაც „ბარსაშიც" უთამაშია, „რეალშიც" და ამას წინათ თავის ყოფილ გუნდს როგორც მწვრთნელმა, ისე მოუგო. ვნახოთ, რას ამბობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი...

***ბერნდ შუსტერი***
*(„ხეტაფეს" მწვრთნელი)*

„რეალმა" „ხეტაფესთან" წააგო, თუმცა ეს „ელ კლასიკოზე" გავლენას არ მოახდენს. ხანდახან დერბიში ისეთი გუნდები იმარჯვებენ, რომლებიც მატჩამდე ფავორიტებად არ ითვლებიან. „რეალს" მოგებისთვის „ბარსელონაზე" მეტი მოტივაცია აქვს. უკვე სამი წელია, ჯილდოს გარეშე რჩება, კატალონიელებმა კი ყველაფერი მოიგეს... მატჩის ბედი შეიძლება პატარა დეტალმაც გადაწყვიტოს. პრიმერადივიზიონისთვის „რეალის" გამარჯვება უფრო კარგი იქნება, ჩემპიონატს დაძაბულობას შემატებს. თუმცა ვთვლი, რომ შეხვედრა ფრედ დასრულდება.

***ვისენტე დელ ბოსკე***
*(„რეალის" ყოფილი მწვრთნელი)*

ესპანეთის ჩემპიონატისთვის უკეთესი იქნება, „რეალმა" გაიმარჯვოს. „ელ კლასიკოში" „ბარსას" მოგების შემთხვევაში კატალონიელები ქულებით წინ წავლენ და პრიმერადივიზიონს დაძაბულობა მოაკლდება. ასეთ მატჩებში ფავორიტები არ არსებობენ. ვფიქრობ, „რეალი" უფრო გააფთრებით ითამაშებს. „ბარსა" ახლა საფეხბურთო მსოფლიოს მწვერვალზეა და „რეალს" ეს ძალას შემატებს... „ელ კლასიკოს" ბედი ცალკეულ ინდივიდუალისტებზე არ იქნება დამოკიდებული, მსგავს მატჩებს მხოლოდ გუნდური თამაშით იგებენ.

***ხავიერ აგირე .***
*(„ატლეტიკოს" მწვრთნელი)*

ამ შეხვედრის შესახებ ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია. შაბათს „დეპორტივოს" ვეთამაშებით და თუ გავიმარჯვეთ, მეორე დღეს „ელ კლასიკოსაც" დიდი სიამოვნებით ვუყურებ... მატჩის პროგნოზსაც ვერ გეტყვით, ვინც უფრო ძლიერია, ის გაიმარჯვებს...

***არიგო საკი***
*(„მილანის" ყოფილი მწვრთნელი)*

„ბარსელონას" ეტოო ძალიან დააკლდება. არა იმიტომ, რომ სამუელი მეგოლეა, არამედ მისი კონტრშეტევების, მეტოქის თავისსავე საჯარიმოზე შევიწროების და გადამწყვეტ ეპიზოდებში საოცარი სიძლიერის გამო. ნათელია, რომ „ბარსაში" ყველაზე შეუცვლელი ფეხბურთელი ეტოოა, რონალდინიოზე მეტადაც კი... კვირას „ბერნაბეუზე" ტაქტიკურ დუელს ვიხილავთ. ორივე მწვრთნელი ძალიან ძლიერია. ვინ გაიმარჯვებს, ვერ გეტყვით, თუმცა წლევანდელი „ბარსა" შარშანდელზე უფრო სუსტია. გასულ სეზონში ვამბობდი, „ბარსელონას" დარი გუნდი მსოფლიოში არ არსებობს-მეთქი, დღეს კი ვიტყვი, რომ კატალონიური კლუბის რამდენიმე მოთამაშის ბრძოლისუნარიანობაში ეჭვი მეპარება.

***მარჩელო ლიპი***
*(იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი)*

„რეალი" — „ბარსა" განსაკუთრებული მატჩია. მეტოქეთათვის მნიშვნელობა არ აქვს, დერბიმდე როგორ ითამაშებენ და როგორ ფორმაში იქნებიან. აქ ყველაფერი მოედანზე თანაბრდება ხოლმე. პირადი გამოცდილებიდან გეუბნებით, იტალიაში ასეთი რაღაც „იუვენტუსი" — „ტორინოს" ან „ინტერი" — „მილანის" შეხვედრების დროს მინახავს. „ელ კლასიკოს" დროს წინა მატჩებს ყოველთვის ივიწყებენ. ყველა დერბისთვის უშელავათო ბრძოლაა დამახასიათებელი. დაძაბულობა იმდენად დიდია, რომ ნებისმიერმა პატარა შეცდომამ შეიძლება საბედისწერო როლი ითამაშოს...

კაპელოსაც კარგად ვიცნობ და რაიკარდსაც. იმათ კი ერთმანეთის ავანჩავანი იციან. ორივეს კარგად მოეხსენება, მეტოქეს რა შეუძლია, შესთავაზოს. ერთმანეთს ბევრ თავსატეხს გაუჩენენ...

„რეალს" რაკი თავკაცად კაპელო ჰყავს და თამაშიც სხვანაირად წარიმართება. შარშანდელი „ელ კლასიკოს" მსგავს ღია მატჩს სავარაუდოდ ვერ ვიხილავთ...

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსანათლი და მონათლული

## კლასიკური ომის წინ: გამაცინე, კიდევ ერთხელ გამაცინე




რუუდ ვან ნისტელროი

**რუუდ ვან ნისტელროის ესპანელთა სახელგანთქმულ „ელ კლასიკოში“ ჯერ მონაწილეობა არ მიუღია, ლეო მესი კი შარშანდელი „რეალი“ — „ბარსას“ ერთ-ერთი გმირი იყო. მადრიდელთათვის იმ სამარცხვინოდ წაგებულ მატჩში კატალონიელთა ციცქნა არგენტინელმა „რეალის“ მცველები კარგა გვარიანად გააწვალა. ვან ნისტელროი „ელ კლასიკოს“ „მანჩესტერ“ — „ლივერპულის“ ბრძოლას ადარებს, მესი კი ამბობს, „ბერნაბეუზე“ შარშანდელივით სალაღობოდ და გასართობად გავალო. „რეალის“ ფორვარდი მეტოქეს ულამაზესი გოლის გატანას შეჰპირდა, ხოლო მესის გულიანად გაეცინა, როცა ჟურნალისტებმა „ბარსელონას“ კრიზისზე ჰკითხეს... მოკლედ, მადრიდელი და კატალონიელი მომავალ ომზე საუბრობენ**




ლიონელ მესი

— წინ დიდი მატჩი გველის. „რეალი“ „ელ კლასიკოს“ საუკეთესო ფორმაში ხვდება, „ბარსას“ კი პრობლემები აქვს...

— ეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო დერბია. ამ შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელოდება, ყველას „რეალი — ბარსას“ ნახვა სურს. ადრე „ელ კლასიკოს“ ტელევიზორში ვუყურებდი, თუმცა ახლა უკვე „რეალის“ ფეხბურთელი ვარ და მინდა, ის გრძნობა განვიცადო, რასაც მსგავს შეხვედრაში მონაწილე მოთამაშეები განიცდიან.

— მაშინ რას განიცდიდით, როცა „ელ კლასიკოს“ ტელევიზორში უცქერდით?

— უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი, როგორც გულშემატკივარი. ამ მატჩს მთელი მსოფლიო უყურებს. მთელ მსოფლიოში ამ გუნდის ფანები იმაზე ნერვიულობენ, „ბარსას“ და „რეალს“ შორის რა მოხდება. არ მეგულება ქვეყანაზე ფეხბურთელი, „ელ კლასიკოში“ მონაწილეობაზე უარი რომ განაცხადოს.

— და რა მოხდება კვირას „სანტიაგო ბერნაბეუზე“?

— კარგად ვითამაშებთ და მოვიგებთ, სხვა რა უნდა მოხდეს... ვიცით, რომ ყველაფერი უნდა ვილონოთ მოსაგებად, ისევე როგორც ბუქარესტში „სტიაუასთან“. მოედანზე ისეთივე თავდადებით და გამარჯვების სურვილით გავალთ. ლიგის მატჩში მიზნად გამარჯვება დავისახეთ, მეტოქეს ვაჯობეთ და კვირას „ბარსელონასთანაც“ იგივეს გავიმეორებთ.

— ფრანკ რაიკარდს „ბარსას“ ფეხბურთელებზე უკეთესად თქვენ იცნობთ. ჰოლანდიაში თქვენი დებიუტი მისი მწვრთნელობის დროს მოხდა და ფრანკი ყველანაირად გენდობოდათ. ახლა კი ყოფილი დამრიგებლის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოთ...

— რაიკარდმა ჩემს კარიერაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საშუალება მომცა, ნაკრების ფეხბურთელი გავმხდარიყავი. ფრანკთან ახლაც შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, როგორც ადამიანმა და როგორც მწვრთნელმა ბევრი რამ მასწავლა. ამ კაცზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.

— რა შესძინა რაიკარდმა „ბარსელონას“?

— ბევრი რამ. ის თავისი საქმითაა გატაცებული. როცა მუშაობაა საჭირო, უნდა იმუშაო და რაიკარდიც თავის საქმეს გულდასმით აკეთებს. ბუნებით გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს და ამას თავის შეგირდებსაც გადასცემს. მისგან უზარმაზარი გამოცდილება შევიძინე.

— „ბარსას“ ბოლოდროინდელ წარმატებებს ძირითადად ფრანკ რაიკარდი განაპირობებს?

— დიახ, თუმცა არა მხოლოდ ის. ამაში წვლილი ფეხბურთელებსაც მიუძღვით. რონალდინიო, ეტოო, მესი, დეკუ, ხავი — როცა გუნდში ასეთი ფეხბურთელები გყავს უბრალოდ, წაგება სირცხვილია.

— „ბარსას“ თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობის „ფანი“ ყოფილხართ...

— და არა მარტო ძირითადი, მეორე შემადგენლობაც მომწონს. რაიკარდმა დიდი გუნდი შექმნა, ამას წყალი არ გაუვა. თან „ბარსას“ მწვრთნელს დამხმარეებიც შესანიშნავი ჰყავს, მაგალითად, იოჰან ნეესკენსი.

— თუმცა დღეს ბარსელონელები საუკეთესო ფორმაში არ არიან. თქვენი აზრით, კატალონიელთა მხრიდან მთავარ საფრთხეს ისევ რონალდინიო წარმოადგენს?

— რონალდინიო ყოველთვის კარგად თამაშობს. შეუძლია, ერთ წამში შეცვალოს მატჩის ბედი. იგი ვარსკვლავია და მან ეს უკვე დაამტკიცა.

— მაგრამ „რეალში“ ხომ ვან ნისტელროი ბურთაობს, რომელსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა ასევე წამიერად ეხერხება...

— არა, რონალდინიო ჩემზე მეტად სახიფათოა. „ბარსას“ ასევე ჰყავს მესი, დეკუ და ხავი, თუმცა მე ინიესტას თამაში მომწონს. ანდრეს ინიესტა ესპანეთის ნაკრებში და „ბარსელონაში“ ერთნაირი წარმატებით გამოდის.

— შეეცდებით, „ბარსას“ „ბერნაბეუზე“ ისეთივე გოლი გაუტანოთ, როგორიც სამშაბათს ბუქარესტში „სტიაუას“ აგემეთ?

— რა თქმა უნდა, ამის გაკეთებას ვეცდები და ძალიან გამიხარდება, თუ ეს მოვახერხე. გოლის გატანას ეპიზოდის გამოყენება სჭირდება და ბუქარესტში ჩემი შანსი ხელიდან არ გავუშვი. თუ კვირას კარის დალაშქვრის შანსი მომეცა, გამოვიყენებ.

— ვინმეს თუ აგიხსნათ, ესპანელთათვის „რეალი“ — „ბარსა“ რას ნიშნავს?

— არავის არაფერი აუხსნია, თუმცა მე ვთვლი, რომ ეს დერბი „მანჩესტერ“ — „ლივერპულის“ დაპირისპირებას წააგავს. ინგლისურ დერბიში რამდენჯერმე მიმიღია მონაწილეობა, ვიცი, ხალხისთვის მსგავსი თამაშები რასაც ნიშნავს. ბევრისთვის ეს ცხოვრებაში საუკეთესო მომენტია და ყოველ სეზონში დერბის გულაძგერებულნი ელოდებიან.

— თუ კვირას წააგეთ, „ბარსელონა“ სატურნირო ცხრილში ძალიან წინ გაგექცევათ...

— ჩვენი მიზანი მარტო გამარჯვებაა. თქვენ არ იცით, ბიჭები თამაშს რა განწყობით ელოდებიან... ბუქარესტის მატჩი უნდა გავიმეოროთ, ის კი ამ სეზონში ჩვენი ყველაზე საუკეთესო თამაში იყო.

— ესე იგი ვიქტორ ვალდესს გოლს ჰპირდებით...

— ვეცდები, ასე მოხდეს. თუ ორს გავიტან, მთლად უკეთესი...

— „ჩელსისთან“ შეხვედრა წააგეთ. როგორ გრძნობს თავს მესი პირველი ევროპული მარცხის შემდეგ?

— ცოტათი იმედგაცრუებული ვარ, თუმცა მჯერა, ყველაფერი გამოსწორდება.

— ლონდონელებთან მატჩზე რას გვეტყვით?

— პირველ ტაიმში სახიფათო ეპიზოდები შევქმენით, გოლის გატანაც შეგვეძლო, თუმცა დროგბას გოლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. „ჩელსის“ მცველებმა და ნახევარდაცვამ ჩვენს წინ გაუვალი კედელი აღმართეს.

— ეს მხოლოდ ერთი ცუდი მატჩი იყო, თუ „ბარსელონა“ დასუსტდა და შარშანდელივით ველარ თამაშობს?

— გმადლობთ, რომ გამაცინეთ. ეს იყო მარტო ცუდი მეორე ტაიმი. „ბარსა“ კი, ბევრის სამწუხაროდ, ჯერ არ დასუსტებულა.

— რა სჭირს რონალდინიოს?

— რა უნდა სჭირდეს, რატომ მეკითხებით?

— „ჩელსისთან“ ცუდად ითამაშა...

— რონი თავს მშვენივრად გრძნობს. გაიხსენეთ, „სევილიას“ ორი გოლი გაუტანა. მარტო „ჩელსისთან“ ჩაგდებული მატჩის გამო ასეთ ფეხბურთელს ნუ ჩამოვწერთ.

— „ელ კლასიკოზე“ ვისაუბროთ. ერთი წლის წინ მადრიდში გაგიკვირდათ, როდესაც „ბარსელონას“ ძირითადში აღმოჩნდით...

— მართლა ძალიან გამიკვირდა. დაფაზე გამოკრულ შემადგენლობას შემთხვევით შევხედე და იქ მეც ვეწერე. ეს დაუჯერებელი იყო ჩემთვის.

— თუმცა „ბერნაბეუს“ მატჩმა თქვენი ცხოვრება შეცვალა...

— დიახ. დერბიში პირველად მივიღე მონაწილეობა. გუნდმა კარგად ითამაშა და მოვიგეთ.

— იმ 0:3-ის ვიდეოჩანაწერი თუ ნახეთ?

— არ მიყვარს მატჩების გამეორებით ნახვა.

— შარშანდელი „ელ კლასიკოდან“ რას გაიხსენებდით?

— ყველა ჩემი ნათამაშები მატჩი კარგად მახსოვს. „ბერნაბეუზე“ ძალიან მშვიდად გავედი, კარგი მატჩის ჩატარება მინდოდა.

— ანუ დაძაბული არ ყოფილხართ?

— ფეხბურთის სათამაშო მოედანზე ყოველთვის გასართობად გავდივარ, გინდ „ბერნაბეუ“ იყოს და გინდ სოფლის მოედანი. დაძაბული სულაც არ ვყოფილვარ, პირიქით, გადაჭედილმა სტადიონმა მოგების სურვილი უფრო გამიძლიერა. არ მიფიქრია, რომ რობერტო კარლოსთან შერკინება მიწევდა, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჩემი უბნის მოედანზე.

— „ბარსაში“ თამაში დიდი პასუხისმგებლობაა, თუმც, გეტყობათ, ბურთთან საოცრად თავისუფლად გრძნობთ თავს...

— სულერთია, სადაც არ უნდა ვითამაშო, ოღონდ წაგება არ მიყვარს, საშინლად ვერ ვიტან.

— „ბერნაბეუზე“ ხვალაც გასართობად გახვალთ?

— რა თქმა უნდა. გუნდი ცუდ ფორმაში არაა, ლონდონის მატჩმა ის შეცდომები გვაჩვენა, რომლებსაც აუცილებლად გამოვასწორებთ. „რეალთან“ შედეგს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, თუმცა, ცხადია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.



უგო სანჩესი ოთხეულში მოხვდა

# გამოიცან, რომელია?

**მექსიკის** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების პოტენციურ მწვრთნელთა სია ოთხამდე დაიყვანა. შეგახსენებთ, რომ რიკარდო ლავოლპეს წასვლის შემდეგ კაქტუსისქვეყნელთა ეროვნული გუნდი თავკაცის გარეშე დარჩა. წინა კვირას, საგანგებო კომიტეტს შვიდკაციანი ნუსხა ჰქონდა, ახლა კი კანდიდატები ოთხამდე შეამცირეს. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დესიო დე მარიამ განაცხადა, რომ დარჩენილებიდან ერთი მექსიკის ნაკრების ყოფილი ფორვარდი უგო სანჩესია, ხოლო სამი — უცხოელია და დე მარიამ მათი გვარ-სახელი არ გაამხილა.

ოთხეულიდან ფავორიტია უგო სანჩესი, რომელიც ამჟამად პროვინციული „ნეკაქსას" მწვრთნელია, ხოლო 2004-ში „უნამი" ჩემპიონი გახადა.

მექსიკური მედიის ვარაუდით, უცხოელები არიან: იურგენ კლინსმანი, მარსელო ბიელსა და არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ამერიკო გალიეგო. „ჩვენ არ ვაპირებთ უცხოელი კანდიდატების გამხელას, რადგან საქმეს სერიოზულად ვეკიდებით და ეს არაა თამაში გამოცნობაზე" — თქვა დესიო დე მარიამ.

**გიორგი დარჯანია**

# პიზაროს წერილი თავზე გადაახიეს



**პერუს** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებიდან მოკვეთა კლაუდიო პიზარო, რომელიც 11 ოქტომბერს პერუ-ჩილეს ამხანაგურ მატჩზე არ გამოცხადდა. ოთხი დღით ადრე, ანუ 7-ში, ეს გუნდები ჩილეში შეხვდნენ ასევე ამხანაგურად და მიუნხენის „ბაიერნის" ფორვარდი იქ იყო, შემდეგ კი თვითნებურად მიატოვა ნაკრები და გერმანიაში დაბრუნდა.

რამდენიმე დღის წინ პიზარომ განაცხადა, ეროვნულ გუნდში მანამდე არ ვითამაშებ, სანამ მწვრთნელად ფრანკო ნავარო იქნებაო. ფეხბურთელი იმასაც ამტკიცებდა, ამ საკითხზე ფედერაციას წერილი მივწერე და მოვრიგდითო. თუმცა ფედერაციამ მორიგება-გარიგება უარყო. „კლაუდიო პიზარო ნაკრებიდან მოკვეთილია, რადგან მწვრთნელის ნებართვის გარეშე მიატოვა გუნდი" — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

ფრანკო ნავარომ, რომელიც თავის დროზე პერუს ნაკრების თავდამსხმელი იყო, გუნდი ამ წლის დასაწყისში ჩაიბარა. მის ხელში ხუთი მატჩი ითამაშეს და ერთიც არ მოუგია. პერუელებმა ტრინიდადთან და ეკვადორთან ფრე გაახერხა, შემდეგ კი ზედიზედ წააგო პანამასთან და ორჯერ ჩილესთან. შეგახსენებთ, რომ 1982 წლის მერე პერუს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია.

რა აწყენინა ნავარომ პიზაროს, უცნობია.

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **წუხელ** | | |
| დორტმუნდი | : | ბოხუმი |
| (იხ. ქქ-2 გვ.) | | |
| **დღეს** | | |
| შალკე | : | ჰანოვერი |
| ჰერტა | : | გლადბახი |
| არმინია | : | მაინცი |
| ვოლფსბურგი | : | შტუტგარტი |
| ალემანია | : | კოტბუსი |
| ვერდერი | : | ბაიერნი |
| **ხვალ** | | |
| ლევერკუზენი | : | ჰამბურგი |
| აინტრახტი | : | ნიურნბერგი |

# გერმანია

# ზეიმი მავნებელია



ტიმ ვიზეს ვან ბომელი ექვს გოლს შეჰპირდა

**„თუ ისე** ვითამაშეთ, როგორც „ბოხუმთან", „ბაიერნს" ხუთს გავუტანთ" — თქვა „ვერდერის" მეკარე ტიმ ვიზემ. „კი, ბატონო, ოღონდ ჩვენ ექვსით გიპასუხებთ" — უთხრა „ბაიერნის" ჰოლანდიელმა მარკ ვან ბომელმა.

დღეს „ვერდერი" — „ბაიერნია", ბუნდესლიგის ლიდერები ბრემენში დაეტაკებიან ერთმანეთს, მანამდე კი ფეხბურთელებმა სიტყვებით ითამაშეს.

„ვერდერს" ხუთი-ექვსის გატანა რომ შეუძლია, არაერთხელ დაუმტკიცებია, მაგრამ „ბაიერნი" ნამდვილად არაა „ბოხუმი". ორივე გუნდი ახლა კარგ ფორმაშია. „ვერდერმა", ბუნდესლიგის თამაშებს ჩემპიონთა ლიგასაც თუ მივათვლით, მიჯრით სამი მატჩი მოიგო, 11 გოლი გაიტანა და თავად არ გაუშვია.

„ბაიერნმა" გასულ უქმეებზე „ჰერტას" 4:2 მოუგო, შემდეგ კი ლისაბონში „სპორტინგი" 1:0 დაამარცხა.

„დიდხანს ზეიმი მავნებელია — თქვა „ბაიერნის" თავმჯდომარე რუმინეგემ ლისაბონური მატჩის მერე — მთლიანად „ვერდერზე" უნდა გადაერთოს გუნდი. ბრემენელები ცხრილის თავში არიან და „ლევსკისთან" მოგებამ კიდევ უფრო თავდაჯერებული გახადა ჩვენი მეტოქე. გერმანიის ორი უძლიერესი გუნდი დღეს ხვდება ერთმანეთს და ვიმედოვნებ, რომ შეხვედრის შემდეგ „ბაიერნს" ცხრილის თავში ვიხილავ".

ბრემენში „ბაიერნის" შარშანდელი სტუმრობა 0:3 დამთავრდა. „ფიცხელი ბრძოლა გველის — განაცხადა ოლივერ კანმა — დარწმუნებული ვარ, ახლა გაცილებით უკეთესად ვითამაშებთ, ვიდრე შარშან".

„მიჯრით სამ მატჩში გოლი რომ არ გაგვიშვია, ეს უკვე ბევრს ნიშნავს — თქვა „ვერდერის" მწვრთნელმა თომას შააფმა — და „ბაიერნთან" კარის მშრალად შენახვას ვაპირებთ".

„ძალიან სასიამოვნოა, ცხრილში პირველ ადგილზე რომ ხარ და მდევრებს ზემოდან დაჰყურებ. მსურს, რომ ამ სეზონში სულ ასე იყოს" — ბრძანა „ვერდერის" მცველმა კრისტიან შულცმა.

რაც შეეხება შემადგენლობებს, ორივე გუნდს ძირითადის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავთ და ტრავმებს არ უჩივიან.

ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი მონაწილე „ჰამბურგი", რომელიც ბოლოდან მეორე ადგილზეა და თამაში არ მოუგია, ლევერკუზენს ეწვევა. სტუმრებს პირველი გამარჯვების მოპოვება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან ახლა ნახევარმცველი ნაიჯელ დე იონგიც დაუშავდათ. მის გარდა ტრავმირებულები არიან: რაფაელ ვან დერ ვაარტი, ვინსენ კომპანი, ბასტიან რაინჰარდტი, დავი იაროლიმი, გი დემელი და რაფაელ ვიკი. აბა, ასეთი გუნდით...

„შალკეს" შეჯანჯღარებული მწვრთნელი მირკო სლომკა ერთი კვირის წინ „ჰამბურგთან" სტუმრად მოგებამ წელში გამართა და ახლა ზედიზედ მეორე მატჩში სურს გამარჯვება. „ხუმარები" „ჰანოვერს" უმასპინძლებენ, რომელსაც უკვე მიჯრით ოხთი შეხვედრა არ წაუგია და ცხრილის ქვედა სამეულიდან ამოსვლას ცდილობს. „შალკეს" შემადგენლობაში კევინ კურანის და ჰალილ ალტინტოპის თამაში საეჭვოა, ხოლო ასამოა, ლარსენი და ერნსტი არ იქნებიან.

**გაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვერდერი | | | | | 3:0 | | | 2:3 | | | | 2:1 | | | | | | | 7 | 4 | 1 | 2 | 18:9 | 13 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 | 2 | 1 | 1 | 11:5 | 7 |
| 2 | ბაიერნი | | | | 2:1 | | 0:0 | 2:0 | | 4:2 | | | | | | | | | | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 3 | შალკე | 2:0 | | | | | | | | | 1:1 | | | | | 2:0 | | | | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| 4 | ალემანია | | | 0:1 | | 4:2 | | | | | | | | | | | | | 2:1 | 7 | 4 | 0 | 3 | 13:10 | 12 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| 5 | მიონხენგლადბახი) | | | | | | | 1:0 | | | | 1:0 | | 2:0 | | 3:1 | | | | 7 | 4 | 0 | 3 | 9:9 | 12 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 12 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| 6 | ნიურნბერგი | | | | | 1:0 | | | | | | 1:1 | | | 1:1 | | | | 1:1 | 7 | 2 | 5 | 0 | 8:4 | 11 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| 7 | დორტმუნდი | | | | | | | | | | | | | | 1:1 | | 2:2 | 1:0 | | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| 8 | შტუტგარტი | | | | | | 0:3 | 1:3 | | | 1:1 | | 3:0 | | | | | | | 7 | 3 | 2 | 2 | 13:13 | 11 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 | 2 | 1 | 0 | 8:6 | 7 |
| 9 | ჰერტა | | | 2:0 | | | | | 2:2 | | | | | | | | 4:0 | | | 7 | 2 | 4 | 1 | 12:8 | 10 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| 10 | აინტრახტი | | | | | | | | | | | | 3:1 | | | 0:0 | | 2:2 | | 7 | 1 | 6 | 0 | 9:7 | 9 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| 11 | არმინია | | 2:1 | | | | | | 2:3 | | | | | 3:1 | | | | | | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 8 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| 12 | ლევერკუზენი | | | 3:1 | 3:0 | | | | | | | | | | | 1:1 | | | | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| 13 | კოტბუსი | | | | | | 1:1 | 2:3 | | | | | | | 2:0 | | | 2:2 | | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| 14 | მაინცი | | | | 1:3 | | | | | 1:1 | 1:1 | | | | | | | | 2:1 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:10 | 7 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| 15 | ვოლფსბურგი | | 1:0 | | | | | | | 0:0 | | | | | | | 1:2 | | | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | 6 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| 16 | ჰანოვერი | 2:4 | | | 0:3 | | | | | | 1:1 | | 1:1 | | | | | | | 7 | 1 | 3 | 3 | 8:16 | 6 | 0 | 2 | 2 | 4:9 | 2 | 1 | 1 | 1 | 4:7 | 4 |
| 17 | ჰამბურგი | 1:1 | | 1:2 | | | | | | 1:1 | | 1:1 | | | | | | | | 7 | 0 | 5 | 2 | 8:10 | 5 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| 18 | ბოხუმი | 0:6 | 1:2 | | | | | | | | | 2:1 | | 0:1 | | | | | | 7 | 1 | 1 | 5 | 6:15 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

# გამოსავალი გამოშვალიდან
## მორატი სკამს უბრუნდება



**მილანის** „ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებას აპირებს. „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბრისას მას თავად უთქვამს, სხვა გამოსავალი არ არისო. მორატების ოჯახი და თავად მასიმო დიდი ხანია, „ნეროაძურის“ მართავს, მაგრამ უშუალოდ პრეზიდენტის პოსტზე იგი 1995-2004 წლებში გახლდათ. შემდეგ ეს თანამდებობა ჯაჩინტო ფაკეტის დაუთმო, რომელიც სექტემბერში გარდაიცვალა. გავრცელებული ცნობით, მორატის ოფიციალური დანიშვნა 6 ნოემბერს მოხდება.

მოგეხსენებათ, „ინტერი“ ამ უქმეებზე „უდინეზეს“ სტუმრობს და მატჩის წინ უდინელთა მწვრთნელმა ჯოვანი გალეონემ საინტერესო კომენტარები გააკეთა.

„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეძახდა ადრიანოს უმაღლესი კლასის ფორვარდს, მე იგი არასდროს მომწონდა. ჩემი აზრით, ნამდვილი ჩემპიონები ცოტა სხვაგვარად იქცევიან და განსხვავებულნი არიან. ადრიანო რონალდოსთან შედარებას არ იმსახურებს“ — აღნიშნა გამოცდილმა სპეციალისტმა.

როგორც ირკვევა, თავის დროზე გალეონეს „ინტერის“ მწვრთნელობის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შეგახსენებთ, რომ სერია A-ს გასულ ტურში „უდინეზესა“ და „პარმას“ შეხვედრისას იგი გულმა შეაწუხა და შესვენებაზე საავადმყოფოში გააქანეს. თუმცა ახლა უდინელთა თავკაცი თავს კარგად გრძნობს და სათადარიგოთა სკამზე თავის ადგილს უბრუნდება.

„1997 წელს „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი მესაუბრა და თავისი გეგმები გამაცნო. მილანელები მაშინაც მაღალი კლასის ფეხბურთელებით იყვნენ დაკომპლექტებულნი, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ ეთამაშათ. მორატიმ მითხრა, რომ მე ერთადერთი ვიყავი, ვინც ვითარების გამოსწორებას და დალაგებას შეძლებდა. თუმცა მერე არჩევანი ჯიჯი სიმონიზე შეაჩერა“ — დასძინა გალეონემ.

**კოკი კანდელაკი**

# ვალერის ფასი
## გრემიოში იტალიური ძარღვი იპოვეს

**ფლორენციის** „ფიორენტინამ“ ტურინის „იუვენტუსს“ ვალერი ბოჟინოვის ფასი დაუსახელა. „იების“ თქმით, „ბებერ ქალბატონს“ 4 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ ახალგაზრდა ბულგარელი ფორვარდის ბოლომდე გამოსყიდვა შეუძლია. ეს განცხადება „ფიორენტინას“ სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ გააკეთა.

გასულ ზაფხულს „იუვეში“ იჯარით გადასულმა ბოჟინოვმა უკვე არაერთხელ გამოთქვა ტურინში დარჩენის იმედი, თუმცა კლუბის პოზიცია ჯერ უცნობია. „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელი დიდიე დეშანი „ლეჩეს“ ყოფილ ფორვარდს აქებს, მაგრამ ჯერ ცოტა სათამაშო დროს აძლევს.

„ტრიესტინასთან“ მატჩისწინა ვარიჯშზე დეშანმა თავდასხმაში რამდენიმე ახალი ვარიანტი გამოსცადა და შესაძლოა, ბოჟინოვი ძირითად შემადგენლობაშიც დააყენოს. გუნდთან ერთად ისევ არ უვარჯიათ იგორ ტუდორსა და ჯონათან ძებინას, რომლებსაც ტრავმები აწუხებთ.

„იუვენტუსის“ ნახევარმცველმა მაურო ხერმან კამორანეზიმ კი განაცხადა, სეზონის ბოლომდე არსად წასვლას არ ვაპირებ და ჭორებს ყურს ნუ დაუგდებთო. „სკუადრა აძურას“ ნახევარმცველს გუნდის დატოვება ზაფხულში სურდა და ბევრსაც აინტერესება, მაგრამ ხელმძღვანელობამ არ გაუშვა. ბოლო დროს მის იანვარში შესაძლო ტრანსფერზე ალაპარაკდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა ეს გამორიცხა.



ვალერი ბოჟინოვი



მაურო კამორანეზი

„აქ დავრჩი, რათა „იუვენტუსს“ სერია A-ში დაბრუნებაში დავეხმარო და იმედია, სეზონის ბოლოს ამას ყველა ერთად ვიზეიმებთო. აზრის შეცვლას არ ვაპირებ, კლუბის ხელმძღვანელობას ჩემს მომავალზე მხოლოდ ზაფხულში დაველაპარაკები“ — აღნიშნა კამორანეზიმ.

ცოტა ხანში ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ელის დავიდ ტრეზეგესაც, ვინც ასევე ფიქრობდა წასვლაზე და არ გაუშვეს. ამბობენ, „იუვე“ ფრანგ ფორვარდს ახალ კონტრაქტს შესთავაზებსო.

ტურინელებს კიდევ ერთი ფეხბურთელისთვის დაუდგამთ თვალი. ეს „გრემიოს“ პერსპექტიული ნახევარმცველი ლუკასია. 19 წლის ფეხბურთელს უკვე ახალ ემერსონს ეძახიან. „გრემიოს“ ვიცე-პრეზიდენტმა ტულიო მასედომ დაადასტურა, რომ კლუბმა „იუვენტუსისგან“ წინადადება მიიღო, თუმცა ლუკასს სხვა მსურველებიც ჰყავს, მათ შორის მადრიდის „ატლეტიკო“.

19 წლის ბრაზილიელმა პირველი პროფესიული კონტრაქტი გასულ წელს გააფორმა, მაგრამ უკვე იმდენს მიაღწია, რომ კარლოს დუნგამ ეროვნულ ნაკრებში უხმო. თანაც იგი ევროპული გრანდებისთვის ორმაგად სასურველია, რადგან ევროკავშირის პასპორტიც აქვს. ლუკასის ძარღვებში იტალიელი წინაპრების სისხლიც ჩქეფს.

**გიორგი კაკაბაძე**

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კალიარი | : | ტორინო |
| მესინა | : | ემპოლი |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | სამპადორია |
| კატანია | : | ლაციო |
| ფიორენტინა | : | რეჯინა |
| ლივორნო | : | სიენა |
| მილანი | : | პალერმო |
| პარმა | : | ასკოლი |
| რომა | : | კიევო |
| უდინეზე | : | ინტერი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:8 | 14 |
| რომა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:3 | 12 |
| პალერმო | 6 | 4 | 0 | 2 | 14:12 | 12 |
| უდინეზე | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ლივორნო | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| სიენა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 10 |
| ატალანტა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 9 |
| ემპოლი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| მესინა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| სამპდორია | 6 | 1 | 4 | 1 | 10:10 | 7 |
| კატანია | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | 5 |
| ტორინო | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| მილანი | 6 | 3 | 3 | 0 | 6:2 | 4 |
| კალიარი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:6 | 4 |
| ასკოლი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:8 | 3 |
| კიევო | 6 | 0 | 1 | 5 | 5:10 | 1 |
| პარმა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | 1 |
| ლაციო | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | -1 |
| რეჯინა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | - 7 |
| ფიორენტინა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:6 | -10 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, მილანს 8 ქულა, ლაციოს 11 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 19 ქულა*

# იტალია
## სიცილია მილანში



მანჩინის კრუზის იმედება

**კარლო ანჩელოტის** „მილანმა“ ოთხმატჩიანი ფრეების სერია შუა კვირაში „ანდერლეხტთან“ შეწყვიტა, თუმცა „როსონერი“ იმ შეხვედრაშიც მძიმედ გამოიყურებოდა და გაუმართლა, ბრიუსელიდან სამი ქულა რომ წაიღო. ახლა მილანელებს „პალერმოსთან“ („როსანერი“) ელით მძიმე თამაში, მაგრამ მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ, რადგან ლიდერებთან ჩამორჩენა უკვე საკმაოდ დიდია.

გასულ სეზონში „სან სიროზე“ მასპინძლებმა 2:1 მოუგეს „პალერმოს“ და საერთოდ, სიცილიელებს „როსონერისთვის“ მილანში არასდროს მოუგიათ. თუმცა ეს სეზონი ჩინებულად დაიწყეს და სულ მცირე, ქულის მოპოვებას ეცდებიან.

„მილანს“ ისევ არ ეყოლება ტრავმირებული იოან გურკუფი, ჯუზეპე ფავალი, მარკო ბორიელო და სერჟინიო. სამაგიეროდ, ბოლომდე მომჯობინდა პირლო. ანჩელოტის მთავარი პრობლემა კვლავ უფერული თავდასხმაა. წინასწარი ინფორმაციით, „როსონერის“ მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში ფილიპო ინძაგისა და ალბერტო ჯილარდინოს დაყენებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ჯილას ამ სეზონში ჯერ არ გაუტანია. ციდან ვარსკვლავებს არც ინძაგი და რიკარდო ოლივეირა წყვეტენ.

„როსანერის“ კი, რომელმაც ხუთშაბათს უეფას თასზე ფრანკფურტში „აინტრახტს“ მოუგო 2:1 და მშვენიერ ხასიათზეა, დისკვალიფიცირებული მარკო პიზანო არ ეყოლება. მომჯობინდა გუნდის პირველი მეკარე ფედერიკო ალიარდი, ხოლო ახალწვეული ჩირო კაპუანო ალბათ ძირითადში იქნება.

„ბელგიელებთან ჩვენი ხასიათი კიდევ ერთხელ გამოვაჩინეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. იმედია, პრობლემები უკან დარჩა“ — თქვა ანჩელოტიმ.

სერია A-ს ლიდერი „ინტერი“ ესტებან კამბიასოსა და ფრანჩესკო კოკოს გარეშე სტუმრობს სტადიო „ფრიულის“. სათუოა ფაბიო გროსოს თამაში. სამაგიეროდ, რობერტო მანჩინის თავდასხმაში აქვს დიდი არჩევანი. ხანგრძლივი ტრავმების მერე მინდორს დაუბრუნდნენ ხულიო რიკარდო კრუზი და ალვარო რეკობა. ამ წყვილმა შუა კვირაში მოსკოვის „სპარტაკთან“ გუნდს გამარჯვება მოუტანა. მწყობრში არიან ერნან კრესპო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ადრიანოც. თუმც შესაძლოა, ბრაზილიელი ისევ სათადარიგოთა სკამზე ვიხილოთ. ადრიანოს ალბათ თავადაც არ ახსოვს „ინტერის“ მაისურით ბოლოს როდის გაიტანა. სამაგიეროდ, როგორც ირკვევა, გოგოებთან ერთად ორგიებს მშვენივრად აწყობს და ევებ ამისთვის დაისაჯოს კიდეც.

უდინელ „ძებრეტებს“ ტრავმირებული ფელიპე, მარკო მოტა და ჩეზარე ნატალი დააკლდებიან. დისკვალიფიცირებულია სულეი ალი მუნტარი, თუმცა ვინძლო „უდინეზემ“, რომელმაც სეზონი კარგად დაიწყო, მაინც გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიოს „ინტერს“.

საინტერესო მატჩია „სტადიო ოლიმპიკოზეც“. „რომა“ ამ სეზონში ჯერაც მოუგებელ და აუტსაიდერებში დალექილ „კიევოს“ მასპინძლობს. „მფრინავ ვირებს“ ძველი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი დაუბრუნდათ, ხოლო მის ხელში რომ სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლიათ, ალბათ გეხსომებათ.

„ვიცი, რომ ბევრი სამუშაო გვაქვს და რაღაც-რაღაცები უნდა გამოვასწოროთ, მაგრამ უკან ყურების დრო აღარ არის, ახლა მხოლოდ მომავალზე ვფიქრობთ“ — თქვა დელ ნერიმ.

და ბოლოს, „სიენას“ სოცდაზღვევის ფონდში ფულის გადაუხდელობის გამო, ქულა დააკლეს.

**გიორგი კაკაბაძე**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | უიგანი-სიტი | 2.15 | 3.20 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 18:00 | 7 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 18:00 | 8 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 9 | ჩელსი-პორტსმუთი 0:1 | 1.75 | 3.70 | 3.40 | | | |
| 18:00 | 10 | ევერტონი-შეფილდი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 20:15 | 11 | ასტონ ვილა-ფულჰემი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 3 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 18:00 | 4 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2.30 | 3.10 | 3.10 | 1.32 | 1.32 | 1.54 |
| 18:00 | 5 | ბლექბერნი-ბოლტონი | 2.30 | 3.20 | 2.95 | 1.33 | 1.29 | 1.53 |
| 16:00 | 12 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.90 | 3.20 | 4.05 | 1.19 | 1.29 | 1.78 |
| 16:00 | 13 | მანჩესტერი-ლივერპული 0:1 | 3.40 | 3.40 | 1.80 | | | |
| 19:00 | 14 | რედინგი-არსენალი | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 27 | დერბი-ბირმინგემი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 18:00 | 28 | ლესტერი-კრისტალ პალასი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 29 | ლუტონი-ლიდსი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 30 | ნორვიჩი-კარდიფი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 31 | პლიმუთი-ბერნლი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 32 | პრესტონი-ჰალი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 18:00 | 33 | [illegible]-ქპრ | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 34 | საუთჰემპტონი-სტოუკი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 35 | საუთენდი-იფსვიჩი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 18:00 | 36 | სანდერლენდი-ბარნსლი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 37 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 38 | ქოვენტრი-კოლჩესტერი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 39 | ოლდემი-იოვილი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 18:00 | 40 | ბორნმუთი-როტერჰემი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 41 | ბრედფორდი-სქანთორპი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 42 | ბრენტფორდი-ჯილინგემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 43 | ბრაიტონი-ნორთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 44 | კარლაილი-ტრანმერი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 45 | ქრიუ-ბლექპული | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 18:00 | 46 | დონკასტერი-ჩესტერფილდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 47 | ლეიტონი-ჩელტენემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 48 | ნოტინგემი-ბრისტოლი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 49 | პორტ ვეილი-ჰადერსფილდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 50 | სუონსი-მილუოლი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 52 | დარლინგტონი-ბარნეტი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 53 | გრიმსბი-ნოტსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 54 | ლინკოლნი-როჩდეილი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 55 | მაკლსფილდი-რექსემი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 56 | დონსი-პიტერბორო | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 57 | შრუსბერი-სუინდონი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 18:00 | 58 | სტოკპორტი-ტორკი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 59 | უოლსოლი-[illegible] | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 60 | ჰერეფორდი-უიკომბი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 61 | როტერი-მანსფილდი | 1.57 | 3.50 | 5.00 | 1.08 | 1.19 | 2.05 |
| 18:00 | 62 | ბერი-ბოსტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 64 | დაგ ენდ რედი-კიდერმინსტერი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 18:00 | 65 | ექსეტერი-სტივენიჯი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 18:00 | 66 | ფორესტ გრინი-ქროული | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 67 | ალდერშოტი-მორკემბი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 68 | ალტრინჩემი-საუთპორტი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 69 | გრეივსენდი-უოკინგი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 70 | ჰალიფაქსი-ბარტონი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 71 | სტ.ალბანსი-გრეისი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 18:00 | 72 | სტაფორდი-ნორთვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 73 | ტამუორთი-იორკი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 74 | კემბრიჯი-რაშდენი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 75 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 76 | სელტიკი-მაზერველი | 1.15 | 5.80 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.25 |
| 18:00 | 77 | სელტიკი-მაზერველი 0:1 | 1.50 | 3.90 | 4.20 | | | |
| 18:00 | 79 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 18:00 | 80 | ჰარტსი-კილმარნოკი 0:1 | 2.20 | 3.60 | 2.40 | | | |
| 18:00 | 81 | ინვერნესი-ფოლკერკი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 82 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 6.00 | 3.80 | 1.47 | 2.32 | 1.18 | 1.05 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 78 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 84 | ეარი-პარტიკი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 85 | დანდი-ჰამილტონი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 86 | გრეტნა-კლაიდი | 1.42 | 4.20 | 5.70 | 1.06 | 1.13 | 2.41 |
| 18:00 | 87 | ლივინგსტონი-როსი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 18:00 | 88 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 89 | კოუდენბიტი-ეარი | 2.25 | 3.30 | 2.60 | 1.33 | 1.20 | 1.45 |
| 18:00 | 90 | ფორფარი-რეითი | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| 18:00 | 91 | მორტონი-სტრანრაერი | 1.45 | 4.10 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.34 |
| 18:00 | 92 | პიტერჰედი-ალოა | 1.75 | 3.50 | 3.90 | 1.16 | 1.20 | 1.84 |
| 18:00 | 93 | სტირლინგი-ბრეჩინი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 94 | ბერვიკი-არბროთი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 95 | ისტ ფაიფი-ალბიონი | 1.45 | 4.20 | 5.30 | 1.07 | 1.13 | 2.34 |
| 18:00 | 97 | მონტროუზი-სტენჰაუსმუირი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 98 | ქუინს პარკი-ელგინი | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.10 | 1.20 | 2.05 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 99 | ალემანია-კოტბუსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:30 | 100 | არმინია-მაინცი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 17:30 | 105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 17:30 | 108 | შალკე-ჰანოვერი | 1.50 | 3.70 | 6.20 | 1.06 | 1.20 | 2.31 |
| 17:30 | 109 | შალკე-ჰანოვერი 0:1 | 2.30 | 3.60 | 2.30 | | | |
| 17:30 | 110 | ვერდერი-ბოხუმი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 113 | აუე-ბრაუნშვაიგი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 16:00 | 116 | ჰანზა-ოფენბახი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 16:00 | 119 | მიუნხენი 1860-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 16:00 | 120 | ესენი-პადერბორნი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 118 | კობლენცი-აუგსბურგი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 122 | ალენი-ლევერკუზენი(მ) | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |
| 16:00 | 123 | დინამო-ვერდერი(მ) | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 16:00 | 125 | კილი-სტ.პაული | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 16:00 | 126 | მაგდებურგი-ლიუბეკი | 2.25 | 3.30 | 2.60 | 1.33 | 1.20 | 1.45 |
| 16:00 | 127 | მიონხენგლადბახი(მ)-ემდენი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 16:00 | 128 | ერფურტი-ჰერტა(მ) | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 16:00 | 129 | ვუპერტალი-დორტმუნდი(მ) | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 134 | ვეენი-პირმაზენსი | 1.50 | 3.50 | 5.20 | 1.04 | 1.16 | 2.09 |
| 16:30 | 135 | კარლსრუე(მ)-ინგოლშტადტი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 16:30 | 136 | მიუნხენი 1860(მ)-როიტლინგენი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 16:30 | 137 | ელვერსბერგი-ფულენდორფი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 16:00 | 139 | ჰოფენჰაიმი-ზაარბრიუკენი | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 140 | შტურმი-მატერსბურგი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 20:30 | 142 | ტიროლი-ალტახი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 20:30 | 144 | პაშინგი-გრაცერი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:30 | 145 | რაპიდი-რიდი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 146 | ზალცბურგი-ავსტრია | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:45 | 154 | სიონი-აარაუ | 1.37 | 4.00 | 8.00 | 1.02 | 1.16 | 2.66 |
| 19:45 | 155 | თუნი-გრასჰოპერი | 3.80 | 3.30 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |
| 19:45 | 156 | ციურიხი-შაფჰაუზენი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 157 | ბაზელი-სტ.გალენი | 1.60 | 3.50 | 5.10 | 1.09 | 1.21 | 2.07 |
| 18:00 | 158 | ლუცერნი-იანგ ბოისი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 160 | ივერდონი-შო დე ფონი | 2.80 | 3.20 | 2.15 | 1.49 | 1.21 | 1.28 |
| 19:30 | 161 | ვადუცი-ლუგანო | 1.70 | 3.40 | 3.90 | 1.13 | 1.18 | 1.81 |
| 21:30 | 162 | ბელინცონა-ვოლენი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 159 | ვილი-[illegible] | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 16:30 | 163 | კიასო-კონკორდია | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 16:30 | 164 | ქსამაქსი-ლოკარნო | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 17:00 | 165 | სერვეტი-კრიენსი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 18:00 | 166 | დელემონი-ბიელი | 3.85 | 3.30 | 1.75 | 1.77 | 1.20 | 1.14 |
| 18:00 | 167 | ლოზანა-ვინტერთური | 1.95 | 3.20 | 3.25 | 1.21 | 1.21 | 1.61 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 168 | მესინა-ემპოლი | 2.25 | 2.90 | 3.35 | 1.26 | 1.34 | 1.55 |
| 22:30 | 169 | კალიარი-ტორინო | 2.05 | 3.00 | 3.75 | 1.21 | 1.32 | 1.66 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 170 | კატანია-ლაციო | 3.10 | 3.00 | 2.35 | 1.52 | 1.33 | 1.31 |
| 17:00 | 171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 17:00 | 172 | ლივორნო-სიენა | 1.95 | 2.90 | 4.30 | 1.16 | 1.34 | 1.73 |
| 17:00 | 173 | პარმა-ასკოლი | 2.00 | 3.00 | 3.85 | 1.20 | 1.31 | 1.68 |
| 17:00 | 174 | რომა-კიევო | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 17:00 | 175 | რომა-კიევო 0:1 | 2.00 | 3.50 | 2.80 | | | |
| 17:00 | 176 | უდინეზე-ინტერი | 3.30 | 3.10 | 2.15 | 1.59 | 1.30 | 1.26 |
| 17:00 | 178 | ატალანტა-სამპდორია | 2.35 | 2.80 | 3.30 | 1.27 | 1.37 | 1.51 |
| 22:30 | 179 | მილანი-პალერმო | 1.50 | 3.50 | 7.20 | 1.04 | 1.24 | 2.35 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 183 | ტრევიზო-იუვენტუსი | 10.00 | 4.50 | 1.25 | 3.10 | 1.11 | 1.00 |
| 18:00 | 184 | არეცო-სპეცია | 2.10 | 2.70 | 3.70 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 185 | ბარი-ტრიესტინა | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 18:00 | 186 | ფროზინონე-პიაჩენცა | 2.45 | 2.60 | 3.10 | 1.26 | 1.36 | 1.41 |
| 18:00 | 187 | ჯენოა-ჩეზენა | 1.60 | 3.00 | 6.20 | 1.04 | 1.27 | 2.02 |
| 18:00 | 188 | მანტოვა-ბოლონია | 2.20 | 2.60 | 3.60 | 1.19 | 1.36 | 1.50 |
| 18:00 | 189 | მოდენა-ლეჩე | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.50 |
| 18:00 | 190 | ნაპოლი-კროტონე | 1.35 | 3.80 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.67 |
| 18:00 | 191 | პესკარა-ვიჩენცა | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.50 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 192 | ვერონა-ალბინოლეფე | 2.10 | 2.60 | 3.90 | 1.16 | 1.36 | 1.55 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 201 | პრო სესტო-სასუოლო | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 193 | [illegible] | 2.10 | 2.60 | 3.80 | 1.16 | 1.35 | 1.54 |
| 17:00 | 194 | [illegible] | 2.50 | 2.60 | 3.00 | 1.27 | 1.36 | 1.39 |
| 17:00 | 195 | [illegible] | 1.65 | 2.80 | 6.00 | 1.03 | 1.29 | 1.90 |
| 17:00 | 196 | [illegible] | 2.20 | 2.60 | 3.60 | 1.19 | 1.36 | 1.50 |
| 17:00 | 197 | [illegible] | 2.50 | 2.60 | 3.00 | 1.27 | 1.36 | 1.39 |
| 17:00 | 198 | [illegible] | 2.10 | 2.60 | 3.80 | 1.16 | 1.35 | 1.54 |
| 17:00 | 199 | [illegible] | 1.70 | 2.70 | 6.00 | 1.04 | 1.32 | 1.86 |
| 17:00 | 200 | [illegible] | 2.80 | 2.60 | 2.60 | 1.34 | 1.34 | 1.29 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 202 | [illegible]-ჯულიანოვა | 1.45 | 3.40 | 7.50 | 1.01 | 1.21 | 2.33 |
| 17:00 | 203 | ფოჯა-გალიპოლი | 1.75 | 2.70 | 5.30 | 1.06 | 1.31 | 1.78 |
| 17:00 | 205 | ლანჩანო-ანკონა | 1.75 | 2.70 | 5.30 | 1.06 | 1.31 | 1.78 |
| 17:00 | 206 | პერუჯა-სან მარინო | 1.75 | 2.70 | 5.60 | 1.06 | 1.33 | 1.82 |
| 17:00 | 207 | [illegible]-სალერნიტანა | 2.25 | 2.60 | 3.40 | 1.20 | 1.35 | 1.47 |
| 17:00 | 208 | სამბენედეტეზე-მანფრედონია | 2.10 | 2.60 | 3.80 | 1.16 | 1.35 | 1.54 |
| 17:00 | 209 | [illegible] | 2.10 | 2.60 | 3.80 | 1.16 | 1.35 | 1.54 |
| 17:00 | 210 | [illegible] | 2.40 | 2.60 | 3.00 | 1.24 | 1.33 | 1.39 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 204 | [illegible]-მარტინა | 1.50 | 3.10 | 8.00 | 1.01 | 1.26 | 2.23 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 22:00 | 221 | ვილარეალი-ლევანტე | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 22:00 | 222 | სარაგოსა-ბეტისი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 211 | ბილბაო-სელტა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 19:00 | 212 | ესპანიოლი-რასინგი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 214 | მალიორკა-სოსიედადი | 2.00 | 3.10 | 3.70 | 1.21 | 1.29 | 1.68 |
| 19:00 | 216 | [illegible]-ხეტაფე | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 19:00 | 217 | სევილია-ტარაგონა | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 19:00 | 219 | ვალენსია-ოსასუნა | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:00 | 224 | რეალი-ბარსელონა | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 225 | ალმერია-კასტელიონი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 20:30 | 227 | [illegible] | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 20:30 | 229 | ლას პალმასი-ტენერიფე | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 20:30 | 230 | ლორკა-პონფერადინა | 2.00 | 2.90 | 3.65 | 1.18 | 1.29 | 1.61 |
| 20:00 | 234 | [illegible] | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 226 | ალბასეტე-კადისი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 228 | [illegible] | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 19:00 | 231 | ნუმანსია-ალავესი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 19:00 | 232 | ეიბარი-რეალი(ბ) | 1.95 | 2.90 | 3.80 | 1.16 | 1.28 | 1.64 |
| 20:00 | 233 | [illegible] | 1.80 | 3.00 | 4.20 | 1.12 | 1.25 | 1.75 |
| 14:00 | 235 | [illegible]-მალაგა | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:15 | 236 | ლილი-ლორიანი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:00 | 237 | მონაკო-ტულუზა | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 22:00 | 238 | ნანსი-ნანტი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 22:00 | 239 | ნანსი-ნანტი 0:1 | 3.00 | 3.40 | 1.95 | | | |
| 22:00 | 240 | რენი-ნიცა | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| 22:00 | 241 | სენტ-ეტიენი-ლე მანი | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| 22:00 | 242 | სენტ-ეტიენი-ლე მანი 0:1 | 3.55 | 3.40 | 1.75 | | | |
| 22:00 | 243 | სოშო-ლანსი | 2.55 | 2.90 | 2.80 | 1.35 | 1.33 | 1.42 |
| 22:00 | 244 | სედანი-ბორდო | 2.80 | 2.80 | 2.60 | 1.39 | 1.34 | 1.34 |
| 22:00 | 245 | ვალანსიენი-ტროა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 246 | ოსერი-პსჟ | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 247 | მარსელი-ლიონი | 2.90 | 2.80 | 2.45 | 1.42 | 1.32 | 1.30 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 258 | სტრასბურგი-კანი | 2.20 | 2.70 | 3.35 | 1.21 | 1.32 | 1.49 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 259 | [illegible]-ბასტია | 2.80 | 2.70 | 2.55 | 1.37 | 1.33 | 1.31 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 261 | როდა-სპარტა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 22:00 | 262 | ვიტესე-ბრედა | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:00 | 263 | [illegible] | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:30 | 264 | ალკმაარი-პსვ | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 14:30 | 265 | ფეიენოორდი-აიაქსი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 14:30 | 266 | [illegible] | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 14:30 | 267 | უტრეხტი-დენ ჰააგი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 14:30 | 268 | უტრეხტი-დენ ჰააგი 0:1 | 2.30 | 3.60 | 2.30 | | | |
| 16:30 | 269 | ჰერენვენი-გრონინგენი | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 292 | ბოავისტა-ნაციონალი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 293 | [illegible] | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 22:15 | 294 | ბენფიკა-ამადორა | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 19:00 | 295 | მარიტიმუ-ბეირა მარი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 19:00 | 297 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:30 | 298 | სპორტინგი-პორტო | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 296 | ნავალი-ბრაგა | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 299 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 300 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:30 | 301 | [illegible] | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 19:00 | 302 | [illegible]-სანტა კლარა | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 18:00 | 303 | [illegible] | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 19:00 | 304 | [illegible] | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 19:00 | 305 | რიუ ავე-[illegible] | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 306 | [illegible] | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 307 | [illegible] | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 22:00 | 308 | [illegible] | 2.15 | 2.80 | 3.45 | 1.21 | 1.32 | 1.54 |
| 20:00 | 313 | არისი-პაოკი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 309 | [illegible]-ოფი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 17:45 | 310 | ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 18:00 | 311 | ქსანთი-[illegible] | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 312 | [illegible] | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 314 | პანათინაიკოსი-აეკ | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 317 | ბურსა-ანკარა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 21:30 | 318 | ტრაბზონი-გალატასარაი | 4.40 | 3.50 | 1.65 | 1.94 | 1.20 | 1.12 |
| 16:00 | 323 | [illegible] | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 315 | [illegible]-კონია | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.25 | 1.49 |
| 16:00 | 316 | ანტალია-გაზიანტეპი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.51 |
| 21:00 | 320 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| 16:00 | 322 | რიზე-ბეშიქთაში | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 327 | სატურნი-როსტოვი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 16:00 | 328 | ამქარი-ცსკა | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 330 | ტორპედო-სპარტაკი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 16:00 | 331 | მოსკოვი-რუბინი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 16:00 | 332 | ზენიტი-ლოკომოტივი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 334 | [illegible] | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 20:00 | 335 | [illegible]-ბოხუმი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 20:00 | 336 | [illegible] | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 337 | [illegible] | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 338 | [illegible] | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 20:15 | 339 | ფრანკფურტი-კოტბუსი | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:30 | 340 | [illegible]-შალკე | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 342 | [illegible] | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 344 | [illegible] | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 345 | [illegible] | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 19:00 | 346 | [illegible] | 1.42 | 3.80 | 6.50 | 1.03 | 1.16 | 2.39 |
| 19:00 | 347 | [illegible] | 1.90 | 3.10 | 3.80 | 1.17 | 1.26 | 1.70 |
| 22:15 | 348 | [illegible] | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 343 | [illegible]-სპარტა | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 19:15 | 349 | ბრნო-ბოლესლავი | 2.55 | 2.80 | 2.70 | 1.33 | 1.31 | 1.37 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 356 | ინტერი-ნიტრა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 19:30 | 357 | რუჟომბეროკი-კოშიცე | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 19:30 | 358 | ტრნავა-ტრენჩინი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 19:30 | 359 | ჟილინა-პეტრჟალკა | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:30 | 360 | ბ.ბისტრიცა-სენიცა | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 19:30 | 361 | დუბნიცა-სლოვანი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 362 | ჰაიდუკი-[illegible] | 1.30 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.81 |
| 17:30 | 363 | ვარტეკსი-შიბენიკი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 17:30 | 364 | ზაგრები-ციბალია | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 20:00 | 365 | [illegible]-სლავენი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 22:15 | 366 | ინტერი-დინამო | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 20:00 | 367 | რიეკა-[illegible] | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 370 | ჰორსენსი-ბრონდბი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 368 | ოდენსე-რანდერსი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 20:00 | 369 | კოპენჰაგენი-[illegible] | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 17:00 | 371 | მიდტიულანდი-[illegible] | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 17:00 | 372 | სილკებორგი-[illegible] | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 17:00 | 373 | [illegible]-ნორშელანდი | 5.10 | 3.50 | 1.65 | 2.07 | 1.24 | 1.12 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 374 | [illegible] | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 375 | [illegible] | 2.25 | 3.50 | 2.60 | 1.36 | 1.20 | 1.49 |
| 15:00 | 376 | [illegible] | 1.75 | 3.60 | 3.80 | 1.17 | 1.19 | 1.84 |
| 15:00 | 377 | [illegible] | 2.85 | 3.50 | 2.10 | 1.57 | 1.20 | 1.31 |
| 15:00 | 378 | [illegible] | 3.65 | 3.50 | 1.85 | 1.78 | 1.22 | 1.21 |
| 17:00 | 379 | [illegible] | 1.28 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 3.08 |
| 17:00 | 380 | [illegible] | 2.40 | 3.60 | 2.50 | 1.44 | 1.22 | 1.47 |
| 17:00 | 381 | [illegible] | 1.30 | 4.60 | 7.70 | 1.01 | 1.11 | 2.87 |
| | | **ნორვეგია. ტოპლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 383 | მოლდე-[illegible] | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 20:00 | 384 | [illegible] | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:00 | 385 | ვოლერენგა-სტაბეკი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 386 | ვიკინგი-ლინი | 1.90 | 3.40 | 3.60 | 1.21 | 1.24 | 1.74 |
| 20:00 | 387 | ფრედრიკშტადი-ოდ გრენლანდი | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| 22:00 | 388 | ბრანი-როზენბორგი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 389 | ლილესტრიომი-ტრომსე | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 390 | [illegible] | 1.90 | 3.70 | 3.40 | 1.25 | 1.21 | 1.77 |
| 17:00 | 391 | [illegible] | 3.10 | 3.50 | 2.00 | 1.64 | 1.21 | 1.27 |
| 17:00 | 392 | [illegible] | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 17:00 | 393 | [illegible] | 2.00 | 3.70 | 3.10 | 1.29 | 1.21 | 1.68 |
| 17:00 | 394 | [illegible] | 3.00 | 3.70 | 2.00 | 1.65 | 1.20 | 1.29 |
| 17:00 | 395 | [illegible] | 2.00 | 3.60 | 3.10 | 1.28 | 1.21 | 1.66 |
| 20:00 | 396 | [illegible] | 1.60 | 3.80 | 4.80 | 1.12 | 1.20 | 2.12 |
| 17:00 | 397 | [illegible] | 2.15 | 3.40 | 3.00 | 1.31 | 1.25 | 1.59 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 402 | ჰალმსტადი-[illegible] | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 403 | ელფსბორგი-ჰაკენი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| 18:00 | 404 | [illegible]-ორგრიტე | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 17:00 | 405 | ჰელსინგბორგი-[illegible] | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 15:30 | 406 | მალმო-[illegible] | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 407 | გეტებორგი-კალმარი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 21:00 | 408 | ჰამარბი-ჯურგარდენი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 418 | [illegible] | 3.40 | 3.40 | 2.00 | 1.70 | 1.25 | 1.25 |
| 19:30 | 419 | [illegible]-ინტერი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 19:30 | 420 | [illegible]-ჰაკა | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 19:30 | 421 | [illegible] | 1.55 | 3.80 | 5.50 | 1.10 | 1.20 | 2.24 |
| 14:00 | 422 | [illegible] | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 19:30 | 423 | [illegible]-მარიეჰამნი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.31 | 1.25 | 1.54 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 08:00 | 431 | [illegible] | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 09:00 | 432 | [illegible] | 2.60 | 3.10 | 2.30 | 1.41 | 1.22 | 1.32 |
| 09:00 | 433 | ოიტა-კაშიმა | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 10:00 | 434 | [illegible] | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10:00 | 435 | ჩიბა-ოიტა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 10:00 | 436 | შიმიძუ-ნიიგატა | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 11:00 | 437 | ურავა-კაშიმა | 1.75 | 3.30 | 3.65 | 1.14 | 1.18 | 1.73 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 10:00 | 438 | ნაგოია-ჰიროშიმა | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 10:00 | 439 | ტოკიო-გამბა | 4.00 | 3.30 | 1.70 | 1.80 | 1.19 | 1.12 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 442 | სან ლუისი-ნეკაქსა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 23:45 | 443 | ვერაკრუსი-კრუს აზული | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 444 | მონტერეი-კერეტარო | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 23:45 | 445 | ტიგრესი-[illegible] | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 23:45 | 446 | ატლასი-მონარკასი | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 441 | ხაგუარესი-პაჩუკა | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 21:00 | 447 | ტოლუკა-სანტოსი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 23:45 | 448 | ამერიკა-პუებლა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 451 | არსენალი-კოლონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 459 | ველესი-ინდეპენდიენტე | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 450 | არგენტინოს ხუნიორსი-ბელგრანო | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 21:00 | 452 | გიმნასია ხუხუი-ესტუდიანტესი | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 23:00 | 454 | ნიუელსი-ბანფილდი | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 23:00 | 456 | კილმესი-ხიმნასია ჟ | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 457 | რასინგი-ბოკა ხუნიორსი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 23:10 | 458 | რივერ პლეიტი-როსარიო | 1.45 | 3.60 | 6.30 | 1.03 | 1.17 | 2.29 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 460 | გოიასი-სანტა კრუზი | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 23:45 | 461 | პონტე პრეტა-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 23:45 | 462 | სანტოსი-ფიგეირენსე | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 464 | კორინთიანსი-კრუზეირო | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 23:00 | 465 | ფორტალეზა-ატლეტიკო პრ | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:00 | 466 | პარანა-ფლამენგო | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:45 | 467 | ბოტაფოგო-სან კაეტანო | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:00 | 468 | გრემიო-სან პაულუ | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 469 | ჟუვენტუდე-ფლუმინენსე | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 471 | კობრესალი-უნ. კატოლიკა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 472 | კოკიმბო-პალესტინო | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:45 | 475 | [illegible]-აუდაქსი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 473 | ევერტონი-სერენა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:30 | 476 | რენჯერსი-უ.კონსეფსიონი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 477 | მორნინგი-პუერტო მონტი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 23:45 | 478 | უნ.ჩილე-ვანდერერსი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:30 | 474 | უაჩიპატო-უნ.ესპანიოლა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 512 | მუსკრონი-ზულტე | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 22:00 | 513 | გენკი-[illegible] | 1.08 | 6.50 | 18.00 | 1.00 | 1.01 | 4.77 |
| 22:00 | 514 | ლოკერენი-ბევერენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 22:00 | 515 | ანტვერპენი-[illegible] | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 22:00 | 517 | ანდერლეხტი-ლირსი | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 516 | კორტრაიკი-მეხელენი | 3.35 | 3.20 | 2.00 | 1.63 | 1.25 | 1.23 |
| 17:00 | 518 | ტუბიზი-გენკი | 5.20 | 3.50 | 1.55 | 2.09 | 1.19 | 1.07 |
| 17:00 | 519 | დენდერი-სერკლე | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 20:00 | 520 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| 22:00 | 521 | სტანდარდი-ბეერშოტი | 1.12 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.53 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 678 | ჰიფკ-ლუკო | 2.20 | 4.10 | 2.20 | 1.43 | 1.10 | 1.43 |
| 18:00 | 679 | ჰამეენლინა-ტაპარა | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 18:00 | 680 | ილვესი-იოკერიტი | 1.90 | 4.20 | 2.45 | 1.30 | 1.07 | 1.54 |
| 18:00 | 681 | კერპატი-კალპა | 1.20 | 5.00 | 7.00 | 1.00 | 1.02 | 2.91 |
| 18:00 | 682 | საიპა-ესპოო | 2.10 | 4.10 | 2.25 | 1.38 | 1.08 | 1.45 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 684 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1.80 | 4.00 | 2.80 | 1.24 | 1.09 | 1.64 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 729 | ბაზელი-ლანგნაუ | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 21:45 | 730 | ბერნი-ამბრი | 1.55 | 4.40 | 3.40 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 21:45 | 731 | დავოსი-კლოტენი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 21:45 | 732 | ლუგანო-ცუგი | 1.50 | 4.40 | 3.30 | 1.11 | 1.03 | 1.88 |
| 22:00 | 733 | ფრიბურგი-სერვეტი | 2.20 | 4.10 | 2.10 | 1.43 | 1.07 | 1.38 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:00 | 753 | ლოკომოტივი-აკ ბარსი | 2.50 | 4.20 | 1.75 | 1.56 | 1.02 | 1.23 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 13:00 | 755 | ამური-ლადა | 2.70 | 4.20 | 1.65 | 1.64 | 1.02 | 1.18 |
| 13:00 | 756 | ტოლიატი-ცსკა | 2.55 | 4.20 | 1.85 | 1.58 | 1.07 | 1.28 |
| 13:00 | 757 | ლადა-სევერსტალი | 1.60 | 4.40 | 3.00 | 1.17 | 1.04 | 1.78 |
| 13:00 | 758 | მაგნიტოგორსკი-სიბირი | 1.60 | 4.40 | 3.00 | 1.17 | 1.04 | 1.78 |
| 13:00 | 759 | ხიმიკი-სკა | 1.85 | 4.20 | 2.50 | 1.28 | 1.06 | 1.56 |
| 13:00 | 760 | ტრაქტორი-ნეფტეხიმიკი | 2.40 | 4.20 | 1.85 | 1.52 | 1.04 | 1.28 |
| 13:00 | 761 | ავანგარდი-სპარტაკი | 1.70 | 4.30 | 2.85 | 1.21 | 1.06 | 1.71 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 818 | უნიკახა-ტაუ | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 20:30 | 819 | მურსია-ბარსელონა | 2.50 | 12.00 | 1.45 | 2.06 | 1.00 | 1.29 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 14:30 | 820 | ფუენლაბრადა-ვალენსია | 1.95 | 12.00 | 1.70 | 1.67 | 1.00 | 1.48 |
| 14:30 | 821 | გრანადა-მანრესა | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 21:00 | 822 | ბრეოგანი-სან ფერნანდო | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 15:00 | 823 | ალიკანტე-ესტუდიანტესი | 1.60 | 12.00 | 2.00 | 1.41 | 1.00 | 1.71 |
| 20:00 | 824 | ხირონა-მენორკა | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 14:30 | 825 | ხოვენტუტი-ბილბაო | 1.10 | 12.00 | 4.50 | 1.00 | 1.00 | 3.27 |
| 14:30 | 826 | რეალი-ვალადოლიდი | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 835 | აელი-პაოკი | 2.00 | 12.00 | 1.80 | 1.71 | 1.00 | 1.56 |
| 18:00 | 836 | პანელინიოსი-ეგალეო | 1.30 | 12.00 | 2.70 | 1.17 | 1.00 | 2.20 |
| 20:00 | 837 | ამარუსი-ოლიმპიაკოსი | 3.60 | 12.00 | 1.25 | 2.76 | 1.00 | 1.13 |
| 20:00 | 838 | პანიონიოსი-ოლიმპიადა | 1.25 | 12.00 | 3.60 | 1.13 | 1.00 | 2.76 |
| 18:00 | 839 | მაკედონიკოსი-არისი | 4.00 | 12.00 | 1.20 | 3.00 | 1.00 | 1.09 |
| 18:00 | 840 | მარუსი-აეკი | 1.25 | 12.00 | 3.60 | 1.13 | 1.00 | 2.76 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | უიგანი-სიტი | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2.20 | 2.00 | 5.00 | 1.04 | 1.52 | 1.42 |
| 10004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2.75 | 2.00 | 3.55 | 1.15 | 1.54 | 1.27 |
| 10005 | ბლეკბერნი-ბოლტონი | 2.75 | 2.00 | 3.45 | 1.15 | 1.53 | 1.26 |
| 10007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 2.40 | 2.00 | 4.20 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.50 | 2.60 | 8.50 | 1.00 | 1.27 | 1.99 |
| 10010 | ევერტონი-შეფილდი | 1.95 | 2.10 | 6.00 | 1.01 | 1.47 | 1.55 |
| 10011 | ასტონ ვილა-ფულჰემი | 2.15 | 2.00 | 5.20 | 1.03 | 1.52 | 1.44 |
| 10012 | მანჩესტერი-ლივერპული | 2.35 | 2.00 | 4.45 | 1.08 | 1.53 | 1.37 |
| 10014 | რედინგი-არსენალი | 6.00 | 2.20 | 1.90 | 1.60 | 1.44 | 1.01 |
| 10075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 2.15 | 2.00 | 4.90 | 1.03 | 1.49 | 1.42 |
| 10076 | სელტიკი-მაზერველი | 1.35 | 3.30 | 11.00 | 1.00 | 1.20 | 2.53 |
| 10078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |
| 10079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.90 | 2.20 | 6.30 | 1.01 | 1.45 | 1.63 |
| 10081 | ინვერნესი-ფოლკერკი | 2.35 | 2.00 | 4.30 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10082 | სენტ მირენი-რეინჯერსი | 6.20 | 2.30 | 1.85 | 1.67 | 1.42 | 1.02 |
| 10099 | ალემანია-კოტბუსი | 2.20 | 2.10 | 4.70 | 1.07 | 1.49 | 1.45 |
| 10100 | არმინია-მაინცი | 2.55 | 2.00 | 3.75 | 1.12 | 1.51 | 1.30 |
| 10101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.85 | 2.30 | 6.00 | 1.02 | 1.41 | 1.66 |
| 10103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 2.75 | 2.00 | 3.55 | 1.15 | 1.54 | 1.27 |
| 10105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 2.20 | 2.10 | 4.70 | 1.07 | 1.49 | 1.45 |
| 10106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2.50 | 2.00 | 4.00 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 10108 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 2.20 | 6.30 | 1.00 | 1.43 | 1.63 |
| 10110 | ვერდერი-ბაიერნი | 2.90 | 2.00 | 3.15 | 1.18 | 1.50 | 1.22 |
| 10111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.00 | 3.10 | 1.20 | 1.52 | 1.21 |
| 10168 | მესინა-უდინეზე | 2.75 | 2.00 | 3.75 | 1.15 | 1.58 | 1.30 |
| 10169 | კალიარი-ტორინო | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10170 | კატანია-ლაციო | 3.45 | 2.00 | 2.85 | 1.26 | 1.56 | 1.17 |
| 10171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.75 | 2.40 | 6.80 | 1.01 | 1.39 | 1.77 |
| 10172 | ლივორნო-სიენა | 2.40 | 2.10 | 4.30 | 1.12 | 1.54 | 1.41 |
| 10173 | პარმა-ასკოლი | 2.45 | 2.00 | 4.20 | 1.10 | 1.54 | 1.35 |
| 10174 | რომა-კიევო | 1.75 | 2.40 | 6.50 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| 10176 | ემპოლი-ინტერი | 3.85 | 2.00 | 2.60 | 1.31 | 1.55 | 1.13 |
| 10178 | ატალანტა-სამპდორია | 2.80 | 2.00 | 3.45 | 1.16 | 1.54 | 1.26 |
| 10179 | მილანი-პალერმო | 1.90 | 2.20 | 6.30 | 1.01 | 1.45 | 1.63 |
| 10211 | ბილბაო-ხეტაფე | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10212 | ესპანიოლი-რასინგი | 2.45 | 2.00 | 4.20 | 1.10 | 1.54 | 1.35 |
| 10213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 2.80 | 2.00 | 3.25 | 1.16 | 1.50 | 1.23 |
| 10214 | მალიორკა-სოსიედადი | 2.45 | 2.00 | 4.20 | 1.10 | 1.54 | 1.35 |
| 10216 | [illegible] | 2.85 | 2.00 | 3.25 | 1.17 | 1.51 | 1.23 |
| 10217 | სევილია-ტარაგონა | 1.60 | 2.40 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.84 |
| 10219 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.90 | 2.20 | 6.00 | 1.01 | 1.44 | 1.60 |
| 10221 | [illegible]-ლევანტე | 2.00 | 2.10 | 5.70 | 1.02 | 1.48 | 1.53 |
| 10222 | სარაგოსა-ბეტისი | 2.25 | 2.10 | 4.50 | 1.08 | 1.50 | 1.43 |
| 10224 | რეალი-ბარსელონა | 2.90 | 2.00 | 3.20 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10236 | ლილი-ლორიანი | 1.90 | 2.20 | 6.30 | 1.01 | 1.45 | 1.63 |
| 10237 | მონაკო-ტულუზა | 2.45 | 1.90 | 4.30 | 1.07 | 1.56 | 1.31 |
| 10238 | ნანსი-ნანტი | 2.20 | 2.00 | 4.90 | 1.04 | 1.51 | 1.42 |
| 10240 | რენი-ნიცა | 2.40 | 1.90 | 4.55 | 1.06 | 1.57 | 1.34 |
| 10241 | სენტ-ეტიენი-ლე მანი | 2.40 | 1.90 | 4.55 | 1.06 | 1.57 | 1.34 |
| 10243 | სოშო-ლანსი | 2.90 | 1.80 | 3.50 | 1.11 | 1.58 | 1.18 |
| 10244 | სედანი-ბორდო | 3.30 | 1.80 | 3.10 | 1.16 | 1.59 | 1.13 |
| 10245 | ვალანსიენი-ტროა | 2.40 | 1.90 | 4.50 | 1.06 | 1.56 | 1.33 |
| 10246 | ოსერი-პსჟ | 2.75 | 1.80 | 3.70 | 1.08 | 1.57 | 1.21 |
| 10247 | მარსელი-ლიონი | 3.50 | 1.80 | 3.20 | 1.18 | 1.67 | 1.15 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | უიგანი-სიტი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11005 | ბლეკბერნი-ბოლტონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11010 | ევერტონი-შეფილდი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11011 | ასტონ ვილა-ფულჰემი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11012 | მანჩესტერი-ლივერპული | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11014 | რედინგი-არსენალი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 2.10 |
| 11075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11081 | ინვერნესი-ფოლკერკი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11082 | სენტ მირენი-რეინჯერსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.95 |
| 11099 | ალემანია-კოტბუსი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11100 | არმინია-მაინცი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11108 | შალკე-ჰანოვერი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11110 | ვერდერი-ბაიერნი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11168 | მესინა-უდინეზე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11169 | კალიარი-ტორინო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11170 | კატანია-ლაციო | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11172 | ლივორნო-სიენა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11173 | პარმა-ასკოლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11174 | რომა-კიევო | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11176 | ემპოლი-ინტერი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11178 | ატალანტა-სამპდორია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11179 | მილანი-პალერმო | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11211 | ბილბაო-ხეტაფე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11212 | ესპანიოლი-რასინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11214 | მალიორკა-სოსიედადი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11216 | [illegible] | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11217 | სევილია-ტარაგონა | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11219 | ვილიარეალი-ოსასუნა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11221 | [illegible]-ლევანტე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11222 | სარაგოსა-ბეტისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11224 | რეალი-ბარსელონა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.90 |
| 11236 | ლილი-ლორიანი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11237 | მონაკო-ტულუზა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11238 | ნანსი-ნანტი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11240 | რენი-ნიცა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11241 | სენტ-ეტიენი-ლე მანი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11243 | სოშო-ლანსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11244 | სედანი-ბორდო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11245 | ვალანსიენი-ტროა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11246 | ოსერი-პსჟ | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11247 | მარსელი-ლიონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12002 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.90 | 1.70 |
| 12010 | ევერტონი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ასტონ ვილა-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12014 | რედინგი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 12076 | სელტიკი-მაზერველი | 2.10 | 1.55 |
| 12078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |
| 12079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.90 | 1.70 |
| 12081 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 12082 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 12099 | ალემანია-კოტბუსი | 1.90 | 1.70 |
| 12100 | არმინია-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 12101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 12105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 12106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12108 | შალკე-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12110 | ვერდერი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12168 | მესინა-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 12169 | კალიარი-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 12170 | კატანია-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 12172 | ლივორნო-სიენა | 1.60 | 2.00 |
| 12173 | პარმა-ასკოლი | 1.60 | 2.00 |
| 12174 | რომა-კიევო | 1.90 | 1.70 |
| 12176 | ემპოლი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12178 | ატალანტა-სამპდორია | 1.60 | 2.00 |
| 12179 | მილანი-პალერმო | 1.90 | 1.70 |
| 12211 | ბილბაო-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 12212 | ესპანიოლი-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 12214 | მალიორკა-სოსიედადი | 1.60 | 2.00 |
| 12216 | ჰუელვა-ხეტაფე | 1.60 | 2.00 |
| 12217 | სევილია-ტარაგონა | 1.90 | 1.70 |
| 12219 | ვალენსია-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12221 | ვილარეალი-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 12222 | სარაგოსა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12224 | რეალი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12236 | ლილი-ლორიანი | 1.70 | 1.90 |
| 12237 | მონაკო-ტულუზა | 1.70 | 1.90 |
| 12238 | ნანსი-ნანტი | 1.55 | 2.20 |
| 12240 | რენი-ნიცა | 1.60 | 2.10 |
| 12241 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 1.60 | 2.10 |
| 12243 | სედანი-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 12244 | სოშო-ბორდო | 1.55 | 2.20 |
| 12245 | ვალანსიენი-ტრუა | 1.50 | 2.20 |
| 12246 | ოსერი-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12247 | მარსელი-ლიონი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | უიგანი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.90 | 1.70 |
| 13010 | ევერტონი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ასტონ ვილა-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13014 | რედინგი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | სელტიკი-მაზერველი | 2.00 | 1.60 |
| 13078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |
| 13079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13082 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13099 | ალემანია-კოტბუსი | 1.60 | 2.00 |
| 13100 | არმინია-მაინცი | 1.60 | 2.00 |
| 13101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 13106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13108 | შალკე-ჰანოვერი | 1.70 | 1.90 |
| 13110 | ვერდერი-ბაიერნი | 1.55 | 2.10 |
| 13111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.55 | 2.10 |
| 13168 | მესინა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13169 | კალიარი-ტორინო | 1.60 | 2.00 |
| 13170 | კატანია-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 13172 | ლივორნო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13173 | პარმა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13174 | რომა-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13176 | ემპოლი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13178 | ატალანტა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13179 | მილანი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13211 | ბილბაო-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13212 | ესპანიოლი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13214 | მალიორკა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | ჰუელვა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13217 | სევილია-ტარაგონა | 1.90 | 1.70 |
| 13219 | ვალენსია-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13221 | ვილარეალი-ლევანტე | 1.90 | 1.70 |
| 13222 | სარაგოსა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13224 | რეალი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13236 | ლილი-ლორიანი | 1.90 | 1.70 |
| 13237 | მონაკო-ტულუზა | 1.90 | 1.70 |
| 13238 | ნანსი-ნანტი | 1.90 | 1.70 |
| 13240 | რენი-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13241 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13243 | სედანი-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13244 | სოშო-ბორდო | 1.90 | 1.70 |
| 13245 | ვალანსიენი-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13246 | ოსერი-პსჟ | 1.90 | 1.70 |
| 13247 | მარსელი-ლიონი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | უიგანი-სიტი | 1.70 | 2.10 |
| 14003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.45 | [illegible] |
| 14004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1.80 | 2.00 |
| 14005 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.70 | 2.20 |
| 14008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.04 | 2.90 |
| 14010 | ევერტონი-შეფილდი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | ასტონ ვილა-ფულემი | 1.35 | 2.40 |
| 14012 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.65 | 2.20 |
| 14014 | რედინგი-არსენალი | 2.50 | 1.30 |
| 14075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.45 | 2.40 |
| 14078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.80 |
| 14079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.25 | 2.40 |
| 14081 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.65 | 2.20 |
| 14082 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 2.50 | 1.25 |
| 14099 | ალემანია-კოტბუსი | 1.45 | 2.40 |
| 14100 | არმინია-მაინცი | 1.70 | 2.10 |
| 14101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.20 | 2.60 |
| 14103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.40 |
| 14106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14108 | შალკე-ჰანოვერი | 1.30 | 2.50 |
| 14110 | ვერდერი-ბაიერნი | 1.80 | 1.90 |
| 14111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.90 | 1.90 |
| 14168 | მესინა-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14169 | კალიარი-ტორინო | 1.70 | 2.20 |
| 14170 | კატანია-ლაციო | 1.90 | 1.80 |
| 14171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.18 | 2.60 |
| 14172 | ლივორნო-სიენა | 1.60 | 2.20 |
| 14173 | პარმა-ასკოლი | 1.65 | 2.30 |
| 14174 | რომა-კიევო | 1.18 | 2.60 |
| 14176 | ემპოლი-ინტერი | 2.00 | 1.70 |
| 14178 | ატალანტა-სამპდორია | 1.80 | 2.00 |
| 14179 | მილანი-პალერმო | 1.30 | 2.60 |
| 14211 | ბილბაო-სელტა | 1.80 | 1.90 |
| 14212 | ესპანიოლი-რასინგი | 1.70 | 2.20 |
| 14213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1.80 | 1.90 |
| 14214 | მალიორკა-სოსიედადი | 1.70 | 2.20 |
| 14216 | ჰუელვა-ხეტაფე | 1.80 | 1.90 |
| 14217 | სევილია-ტარაგონა | 1.08 | 2.90 |
| 14219 | ვალენსია-ოსასუნა | 1.30 | 2.50 |
| 14221 | ვილარეალი-ლევანტე | 1.30 | 2.50 |
| 14222 | სარაგოსა-ბეტისი | 1.60 | 2.30 |
| 14224 | რეალი-ბარსელონა | 1.90 | 1.90 |
| 14236 | ლილი-ლორიანი | 1.30 | 2.50 |
| 14237 | მონაკო-ტულუზა | 1.65 | 2.20 |
| 14238 | ნანსი-ნანტი | 1.40 | 2.40 |
| 14240 | რენი-ნიცა | 1.60 | 2.20 |
| 14241 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 1.60 | 2.20 |
| 14243 | სედანი-ლანსი | 1.90 | 1.90 |
| 14244 | სოშო-ბორდო | 1.90 | 1.90 |
| 14245 | ვალანსიენი-ტრუა | 1.60 | 2.30 |
| 14246 | ოსერი-პსჟ | 1.80 | 2.00 |
| 14247 | მარსელი-ლიონი | 1.90 | 1.80 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | უიგანი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბლექბერნი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ჩელსი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ევერტონი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ასტონ ვილა-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | მანჩესტერი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | რედინგი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | სელტიკი-მაზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ინვერნესი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ალემანია-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | არმინია-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | შალკე-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | ვერდერი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | მესინა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | კალიარი-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | კატანია-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ფიორენტინა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ლივორნო-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | პარმა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | რომა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ემპოლი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ატალანტა-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | მილანი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ბილბაო-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ესპანიოლი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | მალიორკა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | ჰუელვა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სევილია-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ვალენსია-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | ვილარეალი-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | სარაგოსა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | რეალი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ლილი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | მონაკო-ტულუზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | ნანსი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | რენი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | სედანი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | სოშო-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | ვალანსიენი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15246 | ოსერი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | მარსელი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | უიგანი-სიტი | 1.55 | 2.10 |
| 16003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.28 | 2.95 |
| 16004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1.55 | 2.10 |
| 16005 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 16007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.40 | 2.40 |
| 16008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.05 | 6.00 |
| 16010 | ევერტონი-შეფილდი | 1.20 | 3.50 |
| 16011 | ასტონ ვილა-ფულემი | 1.25 | 3.10 |
| 16012 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.35 | 2.60 |
| 16014 | რედინგი-არსენალი | 3.20 | 1.22 |
| 16075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.25 | 3.00 |
| 16078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.00 | 1.60 |
| 16079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.15 | 3.80 |
| 16081 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.40 | 2.50 |
| 16082 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 3.70 | 1.15 |
| 16099 | ალემანია-კოტბუსი | 1.30 | 2.80 |
| 16100 | არმინია-მაინცი | 1.50 | 2.20 |
| 16101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.15 | 4.00 |
| 16103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.55 | 2.10 |
| 16105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.25 | 3.00 |
| 16106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.45 | 2.30 |
| 16108 | შალკე-ჰანოვერი | 1.15 | 3.70 |
| 16110 | ვერდერი-ბაიერნი | 1.70 | 1.80 |
| 16111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.80 | 1.80 |
| 16168 | მესინა-უდინეზე | 1.50 | 2.20 |
| 16169 | კალიარი-ტორინო | 1.50 | 2.20 |
| 16170 | კატანია-ლაციო | 2.00 | 1.60 |
| 16171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.10 | 4.80 |
| 16172 | ლივორნო-სიენა | 1.40 | 2.50 |
| 16173 | პარმა-ასკოლი | 1.40 | 2.50 |
| 16174 | რომა-კიევო | 1.12 | 4.40 |
| 16176 | ემპოლი-ინტერი | 2.30 | 1.45 |
| 16178 | ატალანტა-სამპდორია | 1.60 | 2.00 |
| 16179 | მილანი-პალერმო | 1.15 | 3.75 |
| 16211 | ბილბაო-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 16212 | ესპანიოლი-რასინგი | 1.40 | 2.50 |
| 16213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 16214 | მალიორკა-სოსიედადი | 1.40 | 2.50 |
| 16216 | ჰუელვა-ხეტაფე | 1.60 | 2.00 |
| 16217 | სევილია-ტარაგონა | 1.08 | 5.10 |
| 16219 | ვალენსია-ოსასუნა | 1.15 | 3.80 |
| 16221 | ვილარეალი-ლევანტე | 1.20 | 3.40 |
| 16222 | სარაგოსა-ბეტისი | 1.35 | 2.70 |
| 16224 | რეალი-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |
| 16236 | ლილი-ლორიანი | 1.17 | 3.80 |
| 16237 | მონაკო-ტულუზა | 1.40 | 2.50 |
| 16238 | ნანსი-ნანტი | 1.30 | 2.90 |
| 16240 | რენი-ნიცა | 1.35 | 2.60 |
| 16241 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 1.35 | 2.60 |
| 16243 | სედანი-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 16244 | სოშო-ბორდო | 1.90 | 1.70 |
| 16245 | ვალანსიენი-ტრუა | 1.40 | 2.50 |
| 16246 | ოსერი-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 16247 | მარსელი-ლიონი | 1.90 | 1.60 |

## გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | უიგანი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ევერტონი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ასტონ ვილა-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17014 | რედინგი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | სელტიკი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ინვერნესი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | სტ.მირენი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ალემანია-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | არმინია-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17110 | ვერდერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | მესინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17169 | კალიარი-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17170 | კატანია-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ლივორნო-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17173 | პარმა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | რომა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ემპოლი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ატალანტა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17179 | მილანი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ბილბაო-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ესპანიოლი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17214 | მალიორკა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ჰუელვა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17217 | სევილია-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ვალენსია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ვილარეალი-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17222 | სარაგოსა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17224 | რეალი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ლილი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | მონაკო-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17238 | ნანსი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | რენი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17241 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | სედანი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17244 | სოშო-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17245 | ვალანსიენი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17246 | ოსერი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17247 | მარსელი-ლიონი | 1.85 | 1.95 |

# სუპერლიგამ მაკაბი დააფასა შერმადინს მიმიხედეთ..

**ისეთი** უთანასწორო ტური დაემთხვა, ცენტრალურად „ავიამშენისა“ და „მაკაბის“ მატჩი შეირჩა, სადაც ყველა დანარჩენ შეხვედრაზე მეტი ინტრიგა ლვივის. სინამდვილეში დიდი ვერაფერი ინტრიგაა, მაგრამ სუპერლიგის ხელმძღვანელები ტრადიციას ვერ ულალატებდნენ, რის თანახმადაც ტურის რომელიმე მატჩი აუცილებლად უნდა შეირაცხოს ცენტრალურად. ჰოდა, „ავია“ — „მაკაბი“, რომელიც კვირას 16 საათზე დაიწყება სპორტის სასახლეში.

ცენტრალური მატჩი დაძაბული იქნება თუ არა, სუპერლიგის გასართობ ღონისძიებათა ორგანიზატორებისთვის მნიშვნელობა არ აქვს — თამაშზე, როგორც დაითქვა, ორი საესტრადო მომღერალი გამოვა, რომლებიც მეტოქე გუნდებს უქომაგებენ და თან მაყურებელს გაამხიარულებენ. „ავიამშენს“ მხარს მერაბ სეფაშვილი დაუჭერს, „მაკაბის“ კი — თემურ წიკლაური.

უშუალოდ მატჩის შესახებ გუნდების მწვრთნელ-მოთამაშეებმა ისაუბრეს.

*ვაჟა მხეიძე, „ავიამშენის“ მწვრთნელი:*

— სამი-ოთხი მოთამაშე ტრავმირებულია, თუმც ამ ეტაპზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ დავით მუშკუდიანი არ ითამაშებს. მან ფეხის კუნთი გაიწყვიტა და კარგა ხანს ვერ დაგვეხმარება. მის გარდა თორნიკე ნინიაშვილი და ლაშა ლოსაბერიძეც დაშავებულნი არიან, ოღონდ მათ მოედანზე გასვლის მეტი შანსი აქვთ...

— „მაკაბი“ ახალგაზრდული და საკმაოდ პერსპექტიული გუნდია, განსაკუთრებით გამოსარჩევია გიორგი შერმადინი. რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს. თანაც მაკაბელებს გამოცდილი ირაკლი მაისურაძე დაემატათ, რომელიც გუნდს დიდ ძალას შემატებს.

*ირაკლი კეიდია, „ავიამშენის“ მოთამაშე:*

— ახალი შეკრებილები ვართ — წინა შემადგენლობიდან 8 კალათბურთელი წავიდა და ახლებს შეთამაშებისთვის დრო სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, „მაკაბისთან“ იოლი გასეირნება არ გველის. ეს გუნდი საკმაოდ მობილიზებულია, შანსებს კი თანაბრად შევაფასებდი.

*ჯამლეტ ხუხაშვილი, „მაკაბის“ მთავარი მწვრთნელი:*

— პირველ რიგში, მინდა კმაყოფილება გამოვთქვა, რომ ცენტრალურად ის მატჩი შეირაცხა, რომელშიც „მაკაბი“ მონაწილეობს. ეს ფაქტი და ის, რომ „ავიამშენის“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კეიდია შანსებს თანაბრად აფასებს, ჩვენთვის დიდი პატივია. ჩემის მხრივ, მე შანსებს ვერ გავათანაბრებ, რადგან „ავიამშენი“ ძალიან ძლიერი, გამოცდილი და შესაბამისად, საჩემპიონო გუნდია. ჩვენი კოზირი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაა და ვეცდებით, გიორგი შერმადინის ძალა მაქსიმალურად გამოვიყენოთ...

— იმედი მაქვს, მეტოქე კორექტულად ითამაშებს და შერმადინიც ტრავმის გარეშე დაასრულებს ამ მატჩს. არადა, დაშავებულები არ გვაკლია. გოჩა წოწელია არ ითამაშებს, ირაკლი მაისურაძეც ტრავმის ზღვარზეა.

*გიორგი შერმადინი, „მაკაბის“ ლიდერი:*

— წინა მატჩში 44 ქულა რომ გავაკეთე, მაშინ ახალგაზრდულ სტუს ვეთამაშე. ახლა კი გაცილებით ძლიერი მეტოქე გვყავს. „ავიამშენი“ განსაკუთრებით ძლიერი მეფარეებით გამოირჩევა, რაც დამატებითი სტიმულია ჩემთვის. იმედია, კარგი თამაში გამოვა და მაყურებლებიც ისიამოვნებს.

ბოლოს მერაბ სეფაშვილმა და თემურ წიკლაურმაც თქვეს ერთი-ორი სიტყვა და მათი ნაუბრის ზოგადი შინაარსი ასეთია: მთავარი კალათბურთია და გახარებული ვიქნებით, თუ ჩვენი სიმღერებით მაყურებელს დამატებით სიამოვნებას მივანიჭებთო.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი შერმადინი



ვაკო ბექანიშვილი რუსთაველებს 13 ქულით შეეწია

# დინამო აზოტს აზარტადაც არ ეყო

20 ოქტომბერი. რუსთავი

**აზოტი 96:61 დინამო**

*18:12 24:20 28:8 26:21*

**აზოტი:** გამყრელიძე (11), ბოისა (5), გოგობერიშვილი (5), ბექანიშვილი (13), უგრეხელიძე (14); მინიაშვილი (13), ტუჯანი (10), დიდია (8), ცეკვავა (8), ჭოჭუა (5), მარკოიშვილი (4), ლიპარტელიანი

**დინამო:** ნოზაძე, ფეიქრიძე (2), ლაფანაშვილი (15), კოლუაშვილი (5), გვიმრაძე (10), ბექაური (9), გულისაბედაშვილი (7), მოდებაძე (6), ბადრიძე (3), სიგუა (2), მურჯიკნელი (2), ბოლქვაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**წლეულს** უსაშველოდ გაძლიერებულმა რუსთავის „აზოტმა“ პირველ შინაურ შეხვედრაში მისხალი შანსიც არ დაუტოვა თბილისის „დინამოს“ და აქტივში 35-ქულიანი გამარჯვება ჩაიწერა.

ამის ამოცნობას დიდი პროგნოზირება არ სჭირდებოდა, შემადგენლობებზე თვალის ერთი შევლებაც საკმარისი იყო. რუსთავულ 12-კაცა განაცხადს ტრავმის გამო ისედაც აკლდა ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე კოტე ტულუში და ისიც საკითხავია, რომელიმე დინამოელისთვის თუ გამოიძებნებოდა ადგილი ქვემოქართლელთა სკამზე. მოკლედ, ეს გახლდათ ახალგამომცვარი ქართული „სუპერლიგის“ ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა და როლებიც მალევე განაწილდა.

ანგარიში მატჩის ყველაზე ტანმაღალი მოთამაშის დავით უგრეხელიძის 2-ქულიანით „აზოტმა“ გახსნა და 40 წუთის განმავლობაში თავზე ბეწვშეურხევლად ლიდერობდა. დამწყებმა ხუთეულმა მასპინძლებს მალევე მოუპოვა 11-ქულიანი უპირატესობა (18:7), რომელიც სათადარიგოებმა პირველი მეოთხედის ბოლო წუთებში ოდნავ გაფლანგეს და „დინამო“ 6 ქულამდე მიუშვეს — 18:12 და საწყისი 10 წუთიც ასე დასრულდა. მეორეში „აზოტმა“ კვლავ იოლად ჩამოიტოვა მეტოქე ორნიშნა სხვაობით. სტუმრები იმდენს მაინც ახერხებდნენ, „აზოტს“ უსაშველოდ წინ არ უშვებდნენ და საპატიო დისტანციაზე აცილებდნენ, ტაიმიც „მხოლოდ“ 10 ქულით დათმეს და მესამე მეოთხედში ბრძოლისათვის განეწყვნენ.

მაგრამ ბრძოლა არ შედგა. რაც პირველ ტაიმში უთმინა „აზოტმა“, მეორე ნახევარში, უფრო კი მესამე მეოთხედში „დინამოს“ თავს მთელი თავისი არტილერია დაატეხა და მეყსეულად გადაწყვიტა მატჩის მომავალი. მასპინძლებმა ფეხს აუჩქარეს, შეტევაში მყოფი მეტოქე ცოტა არ იყო დააფეთეს და იმდენი ბურთი დააკარგვინეს, კარგი გუნდი ამას ორ თამაშში ვერ მოახერხებდა. ფარქვეშაც და პერიმეტრზეც თვალსაჩინო გახდა მასპინძელთა უპირატესობა და ეს ქულათა ბალანსზეც აისახა. ლაშა გამყრელიძის დირიჟორობით „აზოტი“ შეტევიდან შეტევამდე ზრდიდა სხვაობას, მესამე მეოთხედში „დინამოს“ 20 ქულა მოუგო, 30-ით დაწინაურდა და მეოთხე მეოთხედი ფორმალობად აქცია.

**კოტე ყორშია**

# ვუდსონმა ჯო და ზაზა დაასვენა ულიდერო ატლანტა უიმედოდ დამარცხდა

**„ატლანტა ჰოუქსი“** ბოლო სამ დღეში მეორედ ეთამაშა „ორლანდო მეჯიქს“ და, პირველი მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად უიმედოდ დამარცხდა.

„ქორების“ თავკაცმა მაიკ ვუდსონმა, მატჩი საგამოფენოაო და, მთლიანად ექსპერიმენტებს დაუთმო. „ატლანტაში“ არ ითამაშეს გუნდის ლიდერებმა — ჯო ჯონსონმა და ზაზა ფაჩულიამ. თამაშის რეპორტაჟში პირდაპირ ეწერა, ვუდსონმა წამყვანი მოთამაშეები დაასვენა და მთელი მობილიზებით შემართულ „ორლანდოს“ სამარქაფოებითა და ახალბედა კალათბურთელებით შეებრძოლაო.

ალბათ ამიტომაც იყო, „ქორებმა“ უიმედოდ რომ წააგეს. დუაიტ ჰოვარდისა და ჰედო თურქოღლუს შემწეობით ორლანდოელებმა გადამწყვეტი მეოთხედის წინ 29-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რაც უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

გამოცდა ყველაზე კარგად ატლანტელმა ფორვარდმა მარვინ უილიამსმა ჩააბარა, ვისაც 15 ქულა დაუგროვდა. „ქორების“ ახალბედა მეფარე შელდენ უილიამსმაც გამოიჩინა თავი: 10-10 ქულა-მოხსნა მიითვალა.

## ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფები

| | |
|---|---|
| A | C |
| საბერძნეთი | გერმანია |
| რუსეთი | ლიტვა |
| სერბეთი | თურქეთი |
| (ვაკანტური) | ჩეხეთი |
| B | D |
| ესპანეთი | საფრანგეთი |
| ხორვატია | სლოვენია |
| ლატვია | იტალია |
| პორტუგალია | პოლონეთი |

# EUROBASKET 2007 დაჯგუფდა

**მომავალ** ევროპის ჩემპიონატს 2007 წლის 3-16 სექტემბერს ესპანეთი უმასპინძლებს, ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა კი გუშინწინ კასტილიის მთავარქალაქ მადრიდში გაიმართა.

ევროჩემპიონატის მონაწილეთა სრული სია, მართალია, ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ ამას კენჭისყრისთვის ხელი არ შეუშლია. ჩემპიონატის ერთადერთი ვაკანტური ადგილი ჩვეულებრივ მიაკუთვნეს ერთ-ერთ ჯგუფს, ვისი მფლობელიც შესარჩევ ტურნირში ხელმოცარულ გუნდთა შორის გამოვლინდება.

დამატებით საკვალიფიკაციო ტურნირში 10 გუნდი ითამაშებს: მაკედონია, ბელგია, ბოსნია, ბულგარეთი, დანია, ესტონეთი, უნგრეთი, ისრაელი, შვედეთი და უკრაინა.

# ოცდაორი ქართველი ესპანეთის ელის

**რალა** შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც ვთქვათ: 28 ოქტომბერს ვაკეში, „მიხეილ მესხის“ სტადიონზე, საქართველოს ნაკრები ესპანეთს მასპინძლობს. მატჩი საფრანგეთში გაისად გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპისაა. აქ გამარჯვებული შესარჩევის მეექვსე რაუნდში გადის.

საქმე ასეა: თუ საქართველო მიანგრევს ესპანეთს, რაც ყველანაირი ლოგიკით უნდა მოხდეს, მეექვსე რაუნდში შინ და გარეთ პრინციპით შეხვდება პორტუგალია-რუსეთს შორის უკეთესს. იქ ორმატჩა ჯახში გამარჯვებული პირდაპირ გადის მსოფლიოს თასზე. წაგებული შანსს ინარჩუნებს და ევროპა-ამერიკა-აფრიკის რეპეშაჟით შეეცდება საფრანგეთში მოხვედრას.

თქმა არ უნდა, ჩვენებს მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეთ ესპანელების გასაღება და ამ მატჩს ამიტომაც ვერაფრით მოვნათლავთ ჯახად. პორტუგალია-რუსეთს შორის ფავორიტი კი ლათინოსები არიან, რაკი ყველაფრით ჯობნიან სლავებს და თან მატჩი ლისაბონშია. იქამდე შორია და ჩვენების საფიქრალი ჯერ ესპანეთია. მით უმეტეს, რუმინეთთან წაგებული მატჩისა არ იყოს, არც იბერიელებთან გვეყოლება ძირითადი რაზმი.

საესპანეთოდ საძმოს დაუბრუნდნენ საფრანგეთის ჩემპიონატში ნაჩხუბარი და დისკვალიფიცირებული „ყინულმჭრელი“ რევაზ გიგაური და ტრავმირებული მორკინალი აქვსენტი გიორგაძე. რუმინეთში განსაკუთრებით უფროსი გიორგაძე გვაკლდა და ჩვენებმა ბლომად აუტები რომ წააგეს, მეტწილად მისი არყოფნის ბრალი იყო.

რუმინეთის დარად, ვერც ესპანელებთან ითამაშებს ძირითადი 10 ნომერი და მთავარი დამრტყმელი ძალა პალიკო ჯიმშელიძე, რომელმაც ვერაფრით მოირჩინა ტრავმა. ტრავმირებული არიან რუმინეთთან გასინბინებული უგამოცდილესი და უნივერსალი მლლეტელი გია ლაბაძე და მელელოვე ირაკლი მაჩხანელი. სათადარიგო ბურჯად კი ნაკრებს დაუბრუნდა ელიტარული „ბურგუნის“ მორკინალი დავით ხინჩაგაშვილი, ვისაც რუმინეთთან თამაში წელის ტკივილის გამო გაუცდა.

ერთი სიტყვით, ჩვენების საქმე ისეა, რომ თავისი პლუს-მინუსით ესპანელების ვაკეში დამარცხება მაინც არ უნდა გაუჭირდეთ. იქამდე ერთი კვირაა და ჩვენების სავარაუდო საამმატჩო 22-კაცა შემადგენლობა ასეთია:

***მორკინალები:*** *გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი (ორივე კლერმონი, საფრანგეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი), ავთანდილ კოპალიანი (მონტობანი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგაშვილი (ბურგუენი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (ოში, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (ლოკომოტივი, საქართველო), ილია მაისურაძე (ნანტი, საფრანგეთი), რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი), ბესიკ უდესიანი (ვილფრანში, საფრანგეთი), ზვიად მაისურაძე (კრასნი იარი, რუსეთი);*

***უკანა ხაზი:*** *ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), ოთარ ბარკალაია (ანდორა, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ყოჩები, საქართველო), გიორგი შკინინი (ბლუა, საფრანგეთი), რევაზ გიგაური (მონლიუსონი, საფრანგეთი), ბესიკ ხამაშურიძე (ენისეი, რუსეთი), გიორგი ელიზბარაშვილი (კრასნი იარი, რუსეთი), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი, საფრანგეთი)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორესმოს მხარი ექცა

| TENNIS MASTERS |
|---|
| მადრიდი. ესპანეთი. ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 2 450 000 $ |
| **მესამე წრე** |
| **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:6 7:6; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 6:3 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (15, სერბეთი) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 1:6 7:5 6:3; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ტომი ჰაასი (13, გერმანია) 6:4 6:3 |
| ციურიხი. შვეიცარია. ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 1 340 000 $ |
| **მეორე წრე** |
| **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 7:6 7:5; **ტიმეა ბაშინსკი** (შვეიცარია) — ფრანჩესკა სკიავონე (8, იტალია) 6:1 (უარი); **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — შაჰარ პირი (ისრაელი) 6:4 7:6 |
| **მეოთხედფინალი** |
| **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) უარი |


რაფაელ ნადალი

AFP

**ამ ბოლო** ხანს როჯერ ფედერერს ტაიბრეიკების თამაში დასჩემდა. ალბათ იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ყველა გაათმაგებული კონცენტრაციით იბრძვის და ხშირად თვითონ შვეიცარიელიც არ იკლავს ხოლმე თავს, ჩვეულზე მეტ შეცდომებსაც უშვებს. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, ტაიბრეიკებით თუ მათ გარეშე, შეცდომებით თუ იდეალური თამაშით, ეს მატჩები მაინც „მხიარული როჯერის“ გამარჯვებით სრულდება. ფედერერი ცინცინატში ენდი მიურეისთან წაგების შემდეგ დაუმარცხებლად მოდის და ზედიზედ 16 მატჩი მოიგო.

ამჯერად ალპელ გენიოსს რობინ სოდერლინგი ეჭიდავა, მაგრამ შვედის მაქსიმუმი ტაიბრეიკებამდე მისვლა აღმოჩნდა, შემდეგ კი ფედერერი ბატონობდა. ისე, „მხიარულ როჯერს“ შვედების გამწარება წესად ექცა, რადგანაც 2002 წელს ინდიან უელსის მეოთხედფინალში ტომას ენკვისტთან წაგების შემდეგ, შვედებს 13 მატჩია, პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებს. შვეიცარიელის შემდეგი მეტოქე კი რობი ჯინეპრი იქნება, რომელმაც ტომი რობრედო დასცა.

წარმატებით აგრძელებს ტიტულის დაცვას რაფაელ ნადალი. მალიორკელმა ზედიზედ მეორე გასეირნება მოიწყო და საკუთარი მაყურებელიც ფრიად ნასიამოვნები დატოვა თავის მძლავრი თამაშით. ესპანელ ვარსკლავბიჭუნას ტომი ჰაასის დასამარცხებლად 88 წუთი ეყო. წინ კი ნადალს ენდი როდიკის დამცემი ჩეხი, ტომაშ ბერდიხი ელის.

არ შეარგეს ივან ლიუბიჩიჩის დამარცხებით გამოწვეული სიხარული ენდი მიურეის. ახალგაზრდა შოტლანდიელი თანატოლმა და კარგმა მეგობარმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა წააქცია. სერბი კი მადრიდში თანატოლებს დაერია — მიურეიმდე ბალკანელმა რიშარ გასკეს ჩაალაგებინა ჩემოდნები.

ციურიხში მთავარი ამბავი ის გახლავთ, რომ ამელი მერესმომ თამაშზე უარი განაცხადა. ფრანგს მხარი აწუხებს და ტრავმის გამიზეზებას მოერიდა — მადრიდში გასამართ წლის შემაჯამებელ ტურნირამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი და ამიტომ დასვენება არჩია.

თუმც შვეიცარიელ მაყურებელს სანახაობა მაინც არ მოაკლდება — ტოპათეულის ოთხი წარმომადგენელი კვლავაც თამაშობს, თან თანამემამულეებს უგულშემატკივრებენ. მარტინა ჰინგისს მეოთხედფინალში სვეტლანა კუზნეცოვასთან მოუწევს სერიოზული ჯახის გადატანა. შვეიცარიელის სასარგებლოდ ის თუ მეტყველებს, რომ ამ მატჩს რუსი ფრიად გადაღლილი ხვდება, რადგან ელენა იანკოვიჩის დასამარცხებლად ორ საათზე მეტი დასჭირდა. ისე კი, ამ მატჩში სერბი უფრო ახლოს იყო გამარჯვებასთან — ჯერ პირველი სეტის ტაიბრეიკზე 6:3 მიჰყავდა, შემდეგ კი მეორე პარტიაში 5:3 იყო წინ, მაგრამ იანკოვიჩმა ვერ შეძლო ამ უპირატესობის გამოყენება და ამიტომაც ჰინგისს კუზნეცოვა შეხვდება.

მეორე შემორჩენილი შვეიცარიელი კი ახალგაზრდა ტიმეა ბაშინსკია. თუმც მას წარმატების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს, რადგანაც მარია შარაპოვას ხვდება. თვითონ მაშას პირველ შეხვედრაში ცოტა კი გაუჭირდა შაჰარ პირის დამარცხება, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა და რუსი პრიმაც მეოთხედფინალშია.

**ქახა ლომჯვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

# პინგვინები



**პიტსბურგელთა ჭაბუკი ლიდერები: სიდნი კროსბი და ევგენი მალკინი**

სიდნი კროსბისა და ევგენი მალკინის სუპერწყვილი მთელი ძალით ამოქმედდა. ჭაბუკმა ვუნდერკინდებმა მეორე მატჩი ჩაატარეს ერთად და ჯამში ხუთ ქულას მოუყარეს თავი. „პიტსბურგი“ ნიუ იორკში „აილენდერსს“ სტუმრობდა და რუსმა თავის მეორე NHL-ურ შეხვედრაშიც გაიტანა გოლი, რასაც საგოლე პასიც დაამატა, ხოლო კანადელმა ერთბაშად სამი შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ახლა მის ანგარიშზე ექვს თამაშში 9(2+7) ქულაა.

„პინგვინებმა“ „კუნძულელებს“ ოვერტაიმში მოუგეს და, თუ ახალგაზრდა ვარსკლავები ასე გააგრძელებენ, მაშინ ეს გუნდი პლეი ოფშიც გავა. ისე, „პიტსბურგი“ მართლაც რომ მომავლის გუნდია — კროსბისა და მალკინის გარდა სხვა უნიჭიერესი ახალგაზრდებიც არიან „პინგვინების“ რიგებში. თუნდაც 22 წლის გოლკიპერი, 2001 წლის დრაფტის პირველი ნომერი მარკ-ანდრე ფლერი ავიღოთ, რომელიც საიმედოდ დგას კარში. ამათ დავუმატოთ ისეთი გამოცდილი ოსტატები, როგორებიც მარკ რეკი, სერგეი გონჩარი და რეი უიტნი არიან და საკმაოდ ძლიერ და დაბალანსებულ შემადგენლობას მივიღებთ, რომელსაც ამ სეზონში არა და ორ-სამ წელიწადში ნამდვილად შეეძლება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა და პიტსბურგისთვის ძველი, მარიო ლემიესა და იარომირ იაგრის დროინდელი დიდების დაბრუნება.

19 ოქტომბერი

**ტამპა 4:1 ფილადელფია**
*0:0 2:0 2:1*
1:0 გრეგი (28), 2:0 ფედოტენკო (34), 3:0 პროსპალი (48), 4:0 კაპანენი (56), 4:1 ალექსეევი (58)

**ფინიქსი 0:4 ლოს ანჯელესი**
*0:1 0:3 0:0*
0:1 ფროლოვი (5), 0:2 კოპიტარი (17), 0:3 ბრაუნი (18), 0:4 კამალერი (39)

**ბოსტონი 3:2 კალგარი**
*2:0 1:1 0:1*
1:0 ბოიესი (1), 2:0 მიურეი (9), 2:1 ლენგკოუ (37), 3:1 მიურეი (40), 3:2 ტანგეი (51)

**ოტავა 1:2 კოლორადო**
*0:0 0:2 1:0*
0:1 საკიკი (31), 0:2 რიჩარდსონი (37), 1:2 ჰითლი (50)

**აილენდერსი 3:4 პიტსბურგი**
*0:1 3:1 0:1 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ოილე (9), 0:2 ეკმანი (25), 1:2 იაშინი (36), 2:2 სილინჯერი (38), 3:2 ბლეიკი (39), 3:3 მალკინი (49), 3:4 გონჩარი (64)

**ნიუ ჯერსი 3:4 ნეშვილი**
*1:2 0:1 2:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 არნოტი (3), 1:1 ჯიონტა (5), 1:2 ერატი (7), 1:3 ნიკოლი (38), 2:3 გომესი (58), 3:3 ჯიონტა (60)

**ატლანტა 4:3 ვაშინგტონი**
*1:0 1:3 1:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 ჰოსა (6), 2:0 კოზლოვი (12), 2:1 ზუბრუსი (24), 2:2 სემინი (35), 2:3 ოვეჩკინი (36), 3:3 ჰოსა (60)

**სან ხოსე 5:1 დეტროიტი**
*3:0 0:0 2:1*
1:0 მიხალეკი (7), 2:0 ბელი (12), 3:0 მარლო (15), 4:0 ჩიჩუ (46), 5:0 მარლო (48), 5:1 ჰადლერი (52)

# ფერარი იყო შუმახერამდე, ფერარი იქნება მერეც!


AFP სან პაულოდან

ჩემპიონატის დასკვნითი, ბრაზილიური ეტაპის წინ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა ჟურნალ „აუტოსპორტს" ინტერვიუ მისცა.

**— იმისდა მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება კვირას ყველაფერი, თქვენ დაუვიწყარი სეზონი ჩაატარეთ. ზოგიერთი მომენტის გამოყოფა შეგიძლიათ?**

— შემიძლია. დასაწყისში, პირველი რბოლის გარდა, საქმეები კარგად ვერ მიგვდიოდა. შემდეგ იმოლაში გავიმარჯვეთ და თანდათან, სეზონის ბოლოს, კონკურენტუნარიანები გავხდით. და აი, ახლა აქ ვართ, ფინალის მოლოდინში.

**— რადგან ეს თქვენს კარიერაში ბოლო რბოლაა, გამორჩეულად ემოციური შეგრძნება ხომ არ აქვს?**

— არა მგონია. დრო მოვა, ალბათ რაღაცას ვიგრძნობ, ჯერჯერობით კი ჩვეულებრივი უიქენდია.

**— თქვენ საბოლოოდ გადაწყვიტეთ რბოლებიდან წასვლა, თუ დაბრუნებას ველოდოთ, როგორც ჰაკინენის ან ლაუდას შემთხვევაში?**

— მე არ ვილებ გადაწყვეტილებას, თუ არ ვგრძნობ მის აუცილებლობას. განცხადება გავაკეთე და მისი შეცვლის მიზეზს ვერ ვხედავ. როგორი იქნება ჩემი ცხოვრება შემდგომში, არ ვიცი. მიხარია, რომ მომავალზე ახლავე არ მაქვს საფიქრალი. უბრალოდ ვიცხოვრებ, ვიდრე ნამდვილად საინტერესო წინადადებას მივიღებდე.

**— ნიკი ლაუდა თვლის, რომ „ფერარი" უთქვენოდ ბევრს დაკარგავს.**

— „ფერარი" იყო შუმახერამდე და იქნება მის შემდეგაც. გუნდმა რაიკონენის სახით კარგი შემცვლელი მონახა და წარმატებასაც მიაღწევს.

**— არის თქვენს კარიერაში ისეთი რამ, რაზეც ნანობთ?**

— ყოველ ჩვენგანს ექნებოდა რაიმეს შეცვლის სურვილი, თუ ცხოვრებას თავიდან დაიწყებდა.

**— თქვენ თქვით, რომ ჩემპიონატს მაშინ მიატოვებდით, როცა კონკურენტუნარიანი ველარ იქნებოდით, მაგრამ ახლა ხომ ასე არაა...**

— არ შემეძლო ამის სამომავლოდ გარანტირება, რადგან საჭიროა უფრო მეტი მოტივაცია, წარმატების რწმენა.

**— თუ ტიტულს მოიგებთ, ეს თქვენი კარიერის ბოლოს ეპიკური წარმატება იქნება.**

— ტიტულზე არ ვფიქრობ, მთავარი ამოცანა კონსტრუქტორთა თასის მოპოვებაა. წინა რბოლის შემდეგ ვთქვი, რომ სატიტულო ბრძოლა დასრულებულია. არ მინდა, ვინმეს გამოთიშვის იმედზე ვიყო. ჩემი მიზანია, კარგად ჩავატარო რბოლა და გავიმარჯვო. მთავარია, „ფერარის" დუბლით მოგება, დანარჩენი მეტოქეებზეა დამოკიდებული, დანარჩენი — ბედია.

**— ფორმულა ერთიდან წასვლით რას დაკარგავთ?**

— სურათი მთლიანობაში უნდა შევაფასოთ. მე აქ კარგად ვგრძნობდი თავს, გულდასაწყვეტი არაფერია. მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ!

# ლოების შემცვლელიც შეცვალეს


სებასტიენ ლოები ავსტრალიურ ეტაპსაც გამოტოვებს

**ფრანგი** მერალე სებასტიენ ლოები წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ, ავსტრალიურ რბოლასაც გამოტოვებს.

შეგახსენებთ, თითქმის ერთი თვის წინ ველოსიპედით ვარჯიშისას სები დაეცა და მარჯვენა ხელი მოიტეხა. მართალია, ტრავმა უკვე მოუშუშდა, მაგრამ ექიმებმა საჭესთან დაჯდომის ნება ჯერ მაინც არ დართეს.

წინა, თურქულ ეტაპზე, ლოების „სიტროენით" მსოფლიოს ექსჩემპიონმა კოლინ მაკრეიმ იჯირითა. 38 წლის შოტლანდიელს ზედ ფინიშის წინ, დასკვნით ჩქაროსნულ მონაკვეთზე უმტყუნა მანქანამ და უქულოდ დარჩა. მას იმედი ჰქონდა, რომ მწვანე კონტინენტზე რევანშის აღებას შეძლებდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ ლოების შემცვლელიც შეცვალა.

27-29 ოქტომბერს ავსტრალიაში მაკრეის ნაცვლად „კრონოს სიტროენის" მესამე მძღოლი ხავიერ პონსი გამოვა. ესპანელმა თურქეთში მშვენივრად იარა და მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ საამისო ხუთი ქულა გუნდს კონსტრუქტორთა თასზე არ მიეთვალა, რადგან მხოლოდ ორი ძირითადი მრბოლის შედეგები ითვლება.

ლოები კი შუა ნოემბერში, ახალზელანდიურ ეტაპზე დაუბრუნდება საჭეს. ისე, შესაძლოა, მან დაუსწრებლად უკვე ავსტრალიაში გაინაღდოს ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტული, თუ ერთადერთი კონკურენტი მარკუს გრონჰოლმი, რომელიც სებს 25 ქულით ჩამორჩება, სამეულში ვერ მოხვდება.

**გია ახალაძე**

**XVIII ეტაპი ბრაზილიის დიდი პრიზი**

**ინტერლაგუში**

*სან პაულუ, 22 ოქტომბერი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------------- 4.309 კმ
**რბოლის დისტანცია** ------------------------ 71 წრე — 305.909 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21 საათზე*

**შარშან:** 1 მონტოია (მაკლარენი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 ალონსო (რენო) 4 მ.შუმახერი (ფერარი); 5 ფიზიკელა (რენო); 6 ბარიკელო (ფერარი); 7 ბატონი (B.A.R.); 8 რ.შუმახერი (ტოიოტა)

**წრის რეკორდი:** 2004 — მონტოია (უილიამსი) 1.11,473 (217,0კმ/სთ)

# მინიმალური შანსის რბოლა

**ხვალინდელი** ეტაპით არა მხოლოდ მორიგი, 57-ე საპირველფორმულო ჩემპიონატი დასრულდება, არამედ „სამეფო რბოლების" ყველაზე წარმატებული, მართლაცდა ფანტასტიკური კარიერაც — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი 16-წლიანი ჯირითის შემდეგ ასპარეზს დატოვებს.


ფერნანდო ალონსო

ოღონდ მისი მილიონობით ფანის გულსატკენად, სწორედ რომ შვიდგზის ტრიუმფატორად, რადგან წინა, იაპონურ ეტაპზე მარცხის გამო მერვე ტიტულის შანსი პრაქტიკულად ხელიდან გამოეცალა. „წითელი ბარონი" ლიდერ ფერნანდო ალონსოს ათი ქულით ჩამორჩება და საჩემპიონო საკითხიც გადაწყვეტილი ჩანს. შუმი ტიტულს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს, თუ ნანდო უქულოდ დარჩება, თავად კი ფინიშთან პირველი მივა.

ამის ალბათობა მინიმალურია, თუმც ალონსოც და მისი ბოსი ფლავიო ბრიატორეც ჩემპიონობას განაღდებულად არ თვლიან, სიხარული ჯერ ნაადრევიაო.

*ალონსო:* „არ ვთვლი, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია. ბოლო წუთამდე არ შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ ტიტული მოიპოვე. შეიძლება, ვითარება ნებისმიერ მომენტში საპირისპიროდ შეიცვალოს. თუ ჩვენ ხვალ ძლიერები ვიქნებით და მოწინავე რიგებში ბრძოლას შევძლებთ, სასურველ შედეგსაც მოვიპოვებთ. ეს „რენოში" ჩემთვის ბოლო რბოლაა და ბუნებრივია, მინდა, ეს სეზონიც მანქანაზე საჩემპიონო პირველი ნომრით დავასრულო. ტიტული პირად პირველობაში ყველასთვის უმთავრესია.. შეხედეთ გზების გარშემო რეკლამებს — ყველგან მიხაელის და ალონსოს სახეებია, არსადაა „ფერარი" ან „რენო". ქომაგები ჯერ იმას გაიხსენებენ, თუ ვინ მოიგო ჩემპიონატი და მხოლოდ შემდეგ — რომელი ბოლიდით. ვის ახსოვს, ვინ მოიპოვა კოსტრუქტორთა თასი, ვთქვათ, ათი წლის წინათ."

საჩემპიონო ბრძოლაზე უფრო მწვავეა მესამე ადგილისთვის დუელი ფერარელ ფელიპე მასასა და რენოელ ჯანკარლო ფიზიკელას შორის. ფელიპე ქულით უსწრებს ფიზიკოს და მშობლიურ ტრეკზე პირველი საკარიერო „ბრინჯაოს" მოპოვების ჩინებული შანსიც აქვს.

დაბოლოს, ფორმულა 1-ის ბოს ბერნი ეკლსტოუნის აზრით, სან პაულუში რბოლას მიხაელი მოიგებს, ჩემპიონი კი მაინც ფერნანდო გახდება.

ჩვენც ასე გვგონია.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge